პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 103 (5204) | კვირა, 8 მაისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), საკ. კ. პ. (ბ) ერთგულ, მებრძოლ რაზმს, მაღლა უჭირავს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დროშა, მიდის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე უპარტიოებთან, მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი

## კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები

დიდი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის მშრომელები ენერგიულად ემზადებიან მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის. სულ უფროდაუფრო ფართოდ ჩაღდება საარჩევნო კამპანია. უდიდესი პოლიტიკური აღტყინებითა და ენტუზიაზმით ტარდება მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კრებები.

ვაცხოველებით მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია საქართველოსა და სომხეთში. 21 აპრილს დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და 23 აპრილს — სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება: 1938 წლის 12 ივნისი — შესანიშნავი თარიღია საბჭოთა საქართველოს და სომხეთის მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის ცხოვრებაში. ამ დღეს აღნიშნული რესპუბლიკების მშრომელები აირჩევენ თავიანთ რესპუბლიკათა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.

4 მაისს დაიწყო უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება უზბეკეთის სსრ-ში, სადაც უმაღლესი საბჭოს არჩევნები მოხდება 24 ივნისს.

საუკეთესო და ღირსეულ შვილებს, საბჭოთა სამშობლოს მამაც პატრიოტებს ასახელებენ საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის მშრომელები უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად. წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც ახლა იმართება საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის ქალაქებსა და სოფლებში, წარმოადგენენ საბჭოთა ხალხების შემჭიდროებისა და მეგობრობის, ლენინ-სტალინის საქმისადმი მათი ერთგულების გრანდიოზულ მანიფესტაციას.

ამ კრებებზე, სადაც კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს ასახელებენ, გამოდიან მუშები, გლეხები, ინტელიგენტები — პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები. მათს სიტყვებში გაისმის სიამაყე ჩვენი სამშობლოსათვის, ლენინ - სტალინის პარტიისათვის, რომელმაც გაანთავისუფლა ყოფილი მეფის იმპერიის ყველა ჩაგრული ხალხი და წაიყვანა ისინი ბედნიერი, კულტურული ცხოვრებისაკენ. სსრ კავშირის მშრომელები თვალს ავლებენ განვლილ გზას, ბრძოლისა და გამარჯვებათა უდიდეს გზას!

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის ოსტატმა ამხ. ცილიკმა, ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარ მიტინგზე გამოსვლის დროს, შესანიშნავად მარტივად და მკაფიოდ გამოსთქვა სსრ კავშირის ყველა მშრომელის ერთიანი გრძნობა, ჩვენი მძლავრი სამშობლოსადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა.

„მე ძველი მუშა ვარ, — ამბობდა ამხ. ცილიკი, — მე საკუთარ თავზე განვიცადე წარსული ცხოვრების მთელი სიმწარე და უუფლებობა. როდესაც ძველსა და ახალს ერთმანეთს ვადარებ, მე ძლიერ კარგად მესმის დღევანდელი ბედნიერების ფასი.

დღეს ჩვენ საჯაროდ ვიძლევით ბოლშევიკურ სიტყვას, რომ ღირსეულად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას ჩვენი სამშობლოს წინაშე, ჩვენი ბელადის წინაშე. სიტყვას ვიძლევით გამოვიყენოთ ჩვენი საარჩევნო უფლებები იმისათვის, რომ განუწყვეტლივ იზრდებოდეს სოციალიზმის წარმატებანი, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხალხის მიერ მიღწეული ბედნიერების დაცვა. ამის გზას გვიჩვენებს ჩვენი პარტია. ეს გზაა — კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის განუწყვეტლივ განმტკიცება. ეს გზაა — ფაშიზმის პირსისხლიანი აგენტების, ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადების შეუბრალებლად განადგურება. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში მოხვდებიან მხოლოდ ისინი, ვინც წმინდა გულით იბრძვის ლენინ-სტალინის დიადი დროშით კომუნიზმის აშენებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის“.

დიახ, მხოლოდ პატიოსან და მართალ ადამიანებს, მხოლოდ კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს, ტროცკისტ - ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანდიტებისადმი შეურიგებელ, დაუნდობელ და გამობრძმედილ მებრძოლებს, მხოლოდ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს აირჩევს ჩვენი ხალხი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში! და დეპუტატობის თავის პირველ კანდიდატად საქართველოს, სომხეთისა და უზბეკეთის მშრომელებმა ერთსულოვნად, დიდის ენთუზიაზმით დაასახელეს დიადი კონსტიტუციის შემომქმედი, სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორი ამხანაგი სტალინი და მისი მებრძოლი თანამებრძოლები — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის მიერ განვლილი გზა, როგორც მზე წვეთ წყალში, ასახავს მთელი ჩვენი ქვეყნის — მთლიანი, მონოლიტური და მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს გზას. ურღვევია ხალხთა სტალინური მეგობრობა. ამ მეგობრობის დროშით სსრ კავშირის ხალხებმა ააშენეს სოციალისტური საზოგადოება, შექმნეს თავისი კულტურა — ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა. ჩვენ ალსავსენი ვართ უდიდესი სიამაყით ჩვენი სამშობლოსათვის, რომელიც მუშებმა და გლეხებმა დაიცვეს შინაური და გარეშე მტრებისაგან. ჩვენი სიამაყე გამოხატულია სტალინის სიტყვებში:

„... ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში“.

რარიგ შეიცვალა საქართველოს რესპუბლიკის სახე, რარიგ საოცრად გარდაიქმნა საქართველოს მშრომელთა ცხოვრება და ყოფაცხოვრება! რუსეთის თვითმპყრობელობის ჩამორჩენილი კოლონია, რომელიც გმინავდა ქართველ თავადებთან, მემამულეებთან, კულაკებთან და კაპიტალისტებთან შეთანხმებით მომქმედ მეფის მოხელეთა უღელქვეშ, — აი როგორი იყო საქართველო წარსულში.

ქართველი ხალხის აღორძინების ხანა, მისი შემოქმედებითი ძალების, კულტურისა და ტალანტების გაფურჩქვნის ხანა იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე. საქართველოს სსრ წარმოადგენს აყვავებულ რესპუბლიკას, განვითარებული სოციალისტური მრეწველობით და მოწინავე სოფლის მეურნეობით. საბჭოთა საქართველო — ეს არის მთლიანი წერაკითხვისმცოდნეობის, მატერიალურ სიმდიდრეთა და კულტურის განუხრელი ზრდის ქვეყანა.

უდიდესია სომხეთის სს რესპუბლიკის წარმატებანი. საბჭოთა სომხეთის კულტურული და ეკონომიური გაფურჩქვნა შესაძლო გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეოხებით. განთავისუფლდნენ რა ცარიზმის ნაციონალური ჩაგვრისაგან, გაანადგურეს რა დაშნაკურ - ნაციონალისტური კონტრრევოლუცია, სომხეთის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობაში.

უდიდესია უზბეკეთის სს რესპუბლიკის მიღწევები, რომლის მშრომელებმაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსეთის მუშათა კლასის ძმური დახმარებით დიდი გამარჯვებანი მოიპოვეს სოციალისტური ცხოვრების ყველა დარგში.

საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის მშრომელნი რესპუბლიკური უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, საუკეთესო პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავისი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი. დეპუტატობის კანდიდატებს შორის არიან რესპუბლიკების წარჩინებული ადამიანები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები. ყველა ისინი არიან თავისი ხალხის ხორცი - ხორცთაგანი, სისხლი-სისხლთაგანი, ჩვენი სამშობლოს პატიოსანი, კეთილშობილი ვაჟები და ქალიშვილები. ყველა ისინი არიან კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები.

თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან მუშა-სტახანოველი ქსოვრელი, პროფესორი ერისთავი, ზეინკალი დევსურაშვილი და სხვა პატიოსანი და პარტიის ერთგული მუშები, გლეხები, ინტელიგენტები. სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს შორის ჩვენ ვხედავთ სოფლის მასწავლებელ ქალს ვარსიკ ოგანესიანს, მუშას, წარჩინებულ სტახანოველს ოგანეს დარპინიანს, ტრაქტორისტ - სტახანოველ ქალს ანუშ კარაპეტიანს, სტახანოვური ბრიგადის ბრიგადირს აკოპ გასპარიანს. ესენი არიან კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები, ესენი არიან ადამიანები, რომელთა სახელიც მოსილია დიდებისა და საყოველთაო პატივისცემის შარავანდედით.

შრომისა და მეცნიერების სულ ახალ-ახალი მუშაკები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ხდებიან სახელმწიფო მოღვაწეებად ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხში ტალანტების დაუშრეტელი წყაროა, ხალხი გულდასმით, მოფიქრებით არჩევს თავის რჩეულთა კანდიდატურებს, რომელნიც უნდა შეეფერებოდნენ სახელმწიფო მოღვაწის სტალინურ პრინციპს: იყვნენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასმული ამოცანების სიმაღლეზე, არ დაეშვნენ პოლიტიკურ ობივატელთა დონემდე, იყვნენ უშიშარნი ბრძოლაში და ულმობელნი ხალხის მტრებისადმი, იყვნენ მართალნი და პატიოსანნი, მხურვალედ უყვარდეთ თავისი დიადი ხალხი.

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დავასახელოთ ხალხის საუკეთესო შვილები, ლენინ-სტალინის საქმისადმი ბოლომდე ერთგულნი, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები, მუშათა და გლეხთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის შეუდრეკელი მებრძოლნი!

„პრავდის“ მოწინავე, 7/V

# თბილისის მშრომელთა ორასიათასიანი მიტინგი

## კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის ბრწყინვალე დემონსტრაცია

მძლავრი პროჟექტორების კაშკაშა სხივებით არის განათებული ლამაზად მორთული ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანი, საითკენაც ქალაქის ყოველი კუთხიდან დაუსრულებელ ნაკადად მიემართებიან თბილისის მშრომელთა კოლონები.

თბილისის საბჭოს კოშკზე მრავალი ფერადი შუქით განათებული დიდებულად აღმართულა უზარმაზარი პორტრეტი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველი კანდიდატის, ხალხთა დიდი ბელადის, გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის გენიალური შემოქმედის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისა.

„გაუმარჯოს დიდ სტალინს!“ აწერია მთელ შენობაზე გადაჭიმულ წითელ ტილოს.

საღამოს 7 საათისათვის მოედანზე თავი მოიყარეს ათიათასობით მშრომელებმა, რომლებიც მოვიდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე. ამომრჩევლები ავსებენ მოედნის ახლომახლო ქუჩებსაც.

ტრიბუნაზე არიან — საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი ლ. პ. ბერია, ამხ. ვ. ბაქრაძე, კ. ჩარკვიანი, ვ. დეკანოზოვი, ს. გოგლიძე, ს. იშხანოვი, ვ. მერკულოვი, ს. მამულოვი, მ. ჯაში, ი. ვაცეკი, ა. ჯორბენაძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ე. სოხაძე, კომპოზიტორი არაყიშვილი, ა. წიკლაური, შ. ჭანუყვაძე, თ. ბირკაძე და სხვ.

საღამოს სრულ 7 საათზე თბილისის მშრომელთა 200-ათასიან მიტინგს ხსნის თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. მ. გვიშიანი.

მოედანზე და ახლომახლო ქუჩებში ისმის „ინტერნაციონალის“ გუგუნი.

ამხ. გვიშიანი სიტყვას აძლევს თბილისის რკინიგზის კვანძის მემანქანეს სტახანოველ ამხ. ცხენოსანიძეს.

შემდეგ ხელოვნების მუშაკთა სახელით გამოდის სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ალექსის-ძე ხორავა.

— 1938 წლის 12 ივნისი — საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — სასიხარულო, ბედნიერი დღეა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, — ამბობს იგი — სასიხარულო და ბედნიერია იმიტომ, რომ საქართველოს მშრომელებმა მთელი თავიანთი მრავალსაუკუნოვანი, მრავალტანჯული წარსულის მანძილზე, პირველად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, დიდი სტალინის წყალობით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით მოიპოვეს უფლება იყვნენ თავიანთი შრომის, თავიანთი მუშური სახელმწიფოს ბატონ-პატრონნი. კაცობრიობის დიადი ქარტიის — სტალინური კონსტიტუციის — საფუძველზე საქართველოს მშრომელნი თავიანთ უმაღლეს საბჭოში აირჩევენ ლენინ-სტალინის საქმის ერთგულ საუკეთესო ადამიანებს.

მხოლოდ სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) საიმედო რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის წყალობით, პარტიისა, რომელსაც სტალინის ერთგული მოწაფე ლავრენტი პავლეს-ძე ბერია ხელმძღვანელობს, საქართველო ღარიბი, სისხლითდაცლილი და მშიერი ქვეყნიდან, როგორიც იგი წარსულში იყო, საბჭოთა კავშირის მარგალიტად იქცა. ქართველი ხალხი ცხოვრობს ბედნიერად, საამურად, მდიდრულად.

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა გვავალებს უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ბოლშევიკების პარტიის გარშემო, უფრო მაღლა ავწიოთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დროშა.

ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ასახელებს და ერთსულოვნად მისცემს ხმას მთელი საბჭოთა ხალხის პირველ დეპუტატს ჩვენს ბრძენ დიდ სტალინს.

12 ივნისს ქართველი ხალხი ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს მთელ მსოფლიოს, რომ იგი ერთგული და თავდადებულია ლენინ - სტალინის საქმისა, ერთგული და თავდადებულია პარტიისა და ხალხის ბელადის — დიდი სტალინისადმი.

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების უძლეველ სტალინურ ბლოკს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მის ხელმძღვანელს ამხანაგ ბერიას!

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა განთავისუფლების სიმბოლოს — დიდ სტალინს!

ამხანაგ ხორავას უკანასკნელ სიტყვებს ტაშის გრიალი ჰფარავს. ორკესტრები ასრულებენ „ინტერნაციონალს“.

ზედიზედ გამოდიან მუშათა კოლექტივების, მშრომელთა საზოგადოებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საქართველოს ლენინური კომკავშირისა და ახალგაზრდობის წარმომადგენელს ამხ. ჭანუყვაძეს სცვლის მეცნიერ მუშაკთა წარმომადგენელი პროფესორი კეცხოველი, რომელიც დასახელებულია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მაიორ სილაგაძის შემდეგ, პიონერებისა და მოწაფეების სახელით გამოდის სწავლის ფრიადოსანი მარგო ქორიძე. სამკერვალო ფაბრიკის № 2-ის მუშათა კოლექტივისაგან ლაპარაკობს მუშა-ქალი ამხ. აივაზიანი. საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით საკუთარ ლექსს კითხულობს პოეტი ილო მოსაშვილი, შემდეგ ლაპარაკობს პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ჯაში.

მათი მხურვალე მისასალმებელი სიტყვები აღსავსეა დიდი სტალინისადმი, ლენინ - სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით. გამოსულნი მოუწოდებენ საქართველოს ამომრჩეველთ, რათა ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოცხადდნენ 12 ივნისს საარჩევნო ურნებთან და ერთსულოვნად მისცენ ხმა ქართველი ხალხის საუკეთესო ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს.

ცხადჰყოფს რა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ურყეობას, საბჭოთა ხალხის მორალურსა და პოლიტიკურ ურღვევ ერთიანობას, ამომრჩეველთა 200-ათასიანი მიტინგი მისასალმებელ შეძახილებსა და ხანგრძლივი ტაშის გრიალში, ერთსულოვნად ღებულობს მიმართვას ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

მისალმება ბელადისადმი გალექსეს პოეტებმა მოსაშვილმა და ცაგარელმა ქართულსა და რუსულ ენებზე.

## ამხ. ცხენოსანიძის სიტყვა

### თბილისის დეპოს მემანქანე

ამხანაგებო!

1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა ხალხმა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩია ხელისუფლების თავისი უმაღლესი ორგანო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

ამხანაგებო, ჩვენ ვიცით, რომ ამ არჩევნებში კომუნისტური პარტია გამოვიდა უპარტიო მუშებთან და ყველა მშრომელებთან ბლოკში.

ამხანაგებო, საბჭოთა ქვეყნის ამომრჩევლებმა 1937 წლის 12 დეკემბერს ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს. მთელმა საბჭოთა ხალხმა გამოხატა უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

ამხანაგებო, ლენინ-სტალინის დიადი პარტია — ერთადერთი პარტიაა, რომელიც ნამდვილად და თანმიმდევრობით იცავს მშრომელთა ინტერესებს ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთაგან. ეს არის ერთადერთი პარტია, რომელსაც შესწევს უნარი შემოიკრიბოს თავის გარშემო ხალხის უფართოესი მასები, დარაზმოს ისინი და წაიყვანოს ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ.

ამხანაგებო, საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს. საქართველო იქცა აყვავებულ ქვეყნად და ჩადგა საბჭოთა ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების მოწინავე რიგებში.

ამხანაგებო! მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე 12 ივნისს ჩვენ ავირჩევთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

ამხანაგებო! მე მოვუწოდებ საქართველოს ყველა მშრომელებს, როგორც პარტიულებს, ისე უპარტიოებს, თავისი ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის პარტიისა.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მასწავლებელს და მეგობარს დიდ სტალინს! (ტაში).

## ხალხთა დიდ ბელადს სტალინს

ქალაქ თბილისის მშრომელთა ორასათასიანი მიტინგი, რომელიც შესდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ყველა ამომრჩევლისადმი მიმართვის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით და რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადებას, მხურვალე სალამს გიგზავნით თქვენ, ხალხთა დიდ, საყვარელ ბელადს, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს.

საბჭოთა კავშირის თერთმეტი სოციალისტური რესპუბლიკის მთლიან ოჯახში შემავალი საბჭოთა საქართველო თავისი უმაღლესი საბჭოს არჩევნებს უდიდესი მიღწევებით ეგებება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, საქართველოს მშრომელთათვის უზრუნველჰყოფს ფართო დემოკრატიულ უფლებებს, თავისი ნებისა და სურვილების თავისუფალ გამოვლინებას მომავალ არჩევნებში.

საამური ბედნიერი ცხოვრება ქართველ ხალხს ისე, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, მიანიჭეთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, თქვენმა დაუღალავმა ზრუნვამ მშრომელებზე, ხალხთა თავისუფლებასა და ბედნიერებაზე.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი ხალხი, ემზადება რა თავისი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით ატარებს თავის გულში თქვენს სახელს, თქვენ გასახელებთ თავის პირველ კანდიდატად ისე, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად დაგასახელათ თქვენ თავის პირველ დეპუტატად.

ჩვენ სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ქართველი ხალხი, რომელიც მტკიცედ არის შემჭიდროებული ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ და რომელიც ბოლომდე ერთგულია სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობისა, თვალისჩინივით გაუფრთხილდება და მამაცურად დაიცავს ყველა მტრის თავდასხმისაგან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის უდიდეს მონაპოვრებსა და ლენინ-სტალინის დროშით გასწევს წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა ბრძენსა და საყვარელ ბელადს — დიდ სტალინს!

## ამხ. შ. ჭანუყვაძის სიტყვა

### საქართველოს ალკკ ც. კ-ისა და თბილისის კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო, ნება მომეცით საბჭოთა საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის სახელით მოგესალმოთ თქვენ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი საერთო-საქალაქო მიტინგის მონაწილეებს. (ტაში).

საქართველოს კომკავშირის 140-ათასიანი არმია, მჭიდროდ შეკავშირებული საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გარშემო დიდი მოუთმენლობით ელოდება ისტორიულ დღეს, როდესაც აყვავებული საქართველო აირჩევს თავის უმაღლეს საბჭოს დიდი სტალინის ხელით დაწერილი კონსტიტუციის საფუძველზე.

სტალინურმა კონსტიტუციამ ახალგაზრდობას მიანიჭა არნახული უფლებანი, მისცა მას ბედნიერი, სიხარულით აღსავსე, საამური ცხოვრება. საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობა მომავალ არჩევნებში თავის ხმებს მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. (ტაში).

კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობა მოკლებულია ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს, იგი იჩაგრება ფაშისტური ჩექმისაგან, მის რიგებში ასიათასობით უმუშევარია, რომლებიც სიცოცხლეს ქუჩაში ატარებენ.

კომკავშირის საქართველოს ორგანიზაციამ გამოჰყო 15 ათასი ახალგაზრდა აგიტატორი, რომლებმაც უკვე გაშალეს დიდი საგიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით. ყველა ამომრჩეველთადმი საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვის საფუძველზე ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავაძლიერებთ და გავაფართოვებთ არჩევნებისთვის მზადებას და ამით ერთხელ კიდევ დავუმტკიცებთ კომუნისტურ პარტიას, რომ საქართველოს კომკავშირი ყოველთვის იყო და იქნება პარტიის ღირსეული თანაშემწე. (ტაში).

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს, საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობის მეგობარს ამხანაგ ლ. პ. ბერიას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს! (მქუხარე ტაში).

## პროფესორ კეცხოველის სიტყვა

ამხანაგებო!

12 ივნისს ორდენოსანი საქართველოს მშრომელები მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩევენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

ეს იქნება საქართველოს მშრომელთა უდიდესი ზეიმის დღე. ეს იქნება აღფრთოვანებისა და ლენინ-სტალინის პარტიისა და მისი ბელადის დიდი სტალინისადმი სიყვარულის დღე!

ძველი რუსეთი ხალხთა საპყრობილე, რუსეთი, რომელიც იყო განსახიერება სიღარიბის, უვიცობისა და სიბნელისა, დღეს — ბედნიერების, თავისუფლებისა და სიმდიდრის ქვეყანაა.

ვინ შექმნა ეს ბედნიერი ცხოვრება, ვინ აქცია თავისუფლების სიმბოლოდ ეს დიადი და თვალუწვდენელი ქვეყანა? ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, ბრძენმა ბელადმა დიდმა სტალინმა!

ვის არ ახსოვს უუფლებო, მონობის უღელქვეშ მგმინავი ძველი საქართველო! ძველი საქართველო — სიღარიბის ქვეყანა, სადაც, მიუხედავად ბუნების სიმდიდრისა, ხალხს ლუკმა-პური ენატრებოდა. შეხედეთ დღეს ამ ბედნიერ ქვეყანას — ქვეყანას, რომელიც იქცა აყვავებულ ბაღნარად, სადაც ხალხი უმღერის თავის ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას, სადაც ძველი ჭაობების ნაცვლად აყვავებულან ვენახები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები და თხმელის ნაცვლად ასვეტილან გიგანტური ევკალიპტები.

ჩვენს ქვეყანაში აგუგუნდნენ მძლავრი ინდუსტრიული კერები. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)



თბილისის მშრომელთა წინასაარჩევნო მიტინგი ფედერაციის მოედანზე 7 მაისს.

ფოტო—რ. აკოფოვისა.

# თბილისის მშრომელთა ორასათასიანი მიტინგი

## პროფესორ კეცხოველის სიტყვა
(დასასრული)

17 წლის განმავლობაში 15 ათასმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება. საქართველოს ლიტერატურის კლასიკოსთა დიადი ქმნილებები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდნენ კუთვნილება არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებისაც.

ბედნიერია ჩვენი ხალხი; ბედნიერია იგი სხვა მოძმე ხალხებთან ერთად. იგი არავის მისცემს ნებას ხელი აღმართოს მისი ბედნიერების, მისი თავისუფლების წინააღმდეგ.

აი 12 ივნისს ასეთი სიხარულით რატომ უნდა მივცეთ ხმა იმას, ვინც შექმნა ეს მშვენიერი ცხოვრება, ვინც ადამიანი აქცია ადამიანად, — დიდ სტალინს, მის ერთგულ მოწაფეს ლავრენტი ბერიას, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ბლოკს.

გაუმარჯოს კომუნისტების და უპარტიოების ბლოკს!

გაუმარჯოს ორდენოსანი საქართველოს ხელმძღვანელს ლავრენტი ბერიას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს! (ტაში).

## ამხ. ა. აივაზიანის სიტყვა
### მეორე სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი მუშა-ქალი

ამხანაგებო! 12 ივნისს საბჭოთა საქართველოს მშრომელები აირჩევენ საბჭოთა სოციალისტური საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

12 ივნისს საბჭოთა საქართველოს მშრომელები მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ ჩვენი ბედნიერი სამშობლოს საუკეთესო შვილებს, იმათ, ვინც თავისი მუშაობით და მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცა ერთგულება და უსაზღვრო თავდადება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, მუშათა კლასის საქმისადმი.

საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიას მაღლა უჭირავს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დროშა და მიდის საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე უპარტიო მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან ურყევ კავშირში.

ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა ქალი, გახადა იგი საბჭოთა საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. სტალინურმა კონსტიტუციამ სამუდამოდ განამტკიცა საბჭოთა ქალის დიადი უფლებები.

საქართველოს ბოლშევიკები ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ხელმძღვანელობით განუხრელად ანხორციელებენ დედებისა და ბავშვების მიმართ სტალინურ მზრუნველობას, ჰქმნიან ყველა პირობას, რათა ჩვენი დედები იყვნენ ბედნიერნი და უზრუნველყოფილნი, რათა საამურად იცხოვრონ საბჭოთა ბავშვებმა.

სოციალიზმის დიადმა მონაპოვრებმა უზრუნველჰყვეს ბედნიერი და საამური ცხოვრება საბჭოთა ქალისა.

მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში აქვს ქალს უფლება აირჩიოს და იქნას არჩეული.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირს!

გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

(ხანგრძლივი, მქუხარე აპლოდისმენტები).

## ამხ. სილაგაძის სიტყვა
### № ლეგიონის მეთაური

ამხანაგებო! 12 ივნისი — სტალინური კონსტიტუციის საზეიმო დღეა. 12 ივნისი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სიხარულისა და ბედნიერების დღეა.

ამ სასიხარულო და ბედნიერ დღეს მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იქნება იმ ადამიანისაკენ, ვინც შექმნა ბედნიერი და სიხარულით აღსავსე ცხოვრება, იმ ადამიანისაკენ, ვინც წარმოადგენს ჩვენთვის გამარჯვების დროშას — დიდი სტალინისაკენ.

12 ივნისს საბჭოთა საქართველოს მშრომელები ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ხმას მისცემენ ლენინ-სტალინის პარტიის დიად იდეებს.

საქ. კ. პ. (ბ)-ის საიმედო მებრძოლ რაზმს — საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) მაღლა უჭირავს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დროშა და მიდის არჩევნებზე უპარტიო მუშებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირში.

თბილისის გარნიზონის ნაწილები თავიანთ მძლავრ წითელარმიულ ხმას უერთებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას. ისინი ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს მოუწოდებენ ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

ყველა საარჩევნო ყუთებთან 12 ივნისს!

ხმა მივცეთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს!

გაუმარჯოს 12 ივნისს — დღესასწაულისა, ზეიმისა და სიხარულის დღეს!

გაუმარჯოს უძლეველ საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს თავდაცვის რკინის სახკომს საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხ. ვოროშილოვს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის დიადი ქარტიის შემოქმედს დიდ სტალინს! (ტაში).

## ამხ. მ. ჯაშის სიტყვა
### საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი

12 ივნისი ქართველი ხალხის ისტორიაში აღინიშნება, როგორც საყოველთაო სახალხო დღესასწაული, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმის დღესასწაული.

12 ივნისს ქართველი ხალხი ყველაზე უფრო თანმიმდევრული დემოკრატიული კონსტიტუციისა და ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე, საბჭოთა კავშირის სტალინური კონსტიტუციის შესაბამისად — აირჩევს თავისი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა 1937 წლის 12 დეკემბერს დაანახვა მთელ მსოფლიოს საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და მორალური ერთიანობა და უსაზღვრო ნდობა ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებთან ერთად ჰყვავის და მაგრდება საბჭოთა საქართველოც. დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ამხანაგი სტალინის ყველა მითითების ცხოვრებაში განუხრელად გატარებით საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისა) მისი ერთგული შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით საქართველო გადააქცია აყვავებულ, მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად.

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც აღზრდილი არიან სოციალიზმის ყველა მტრებთან შეურიგებლობის ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე, უზრუნველჰყვეს ხალხის ყველა ჯურის მტრების — ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, ჯაშუშებისა და მავნებლების — ფაშიზმის აგენტების გაცამტვერება და განადგურება. საქართველოს ბოლშევიკები კვლავაც დაუნდობლად გაანადგურებენ მათ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი მოგვიწოდებს კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება და უზრუნველვყოთ ამომრჩეველთა ასპროცენტიანი მონაწილეობა არჩევნებში.

ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ლენინ-სტალინის პარტიისათვის ბოლომდე თავდადებულებს.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად საქართველოს მშრომელები ასახელებენ იმას, ვინც არის 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხის აღმაფრთოვანებელი და სულისჩამდგმელი — ჩვენს მშობლიურ სტალინს.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მის ხელმძღვანელს ლ. პ. ბერიას!

გაუმარჯოს სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, კაცობრიობის გენიოსს დიდ სტალინს! (ტაში).

## სწავლის ფრიადოსნის პიონერ მ. ქორიძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! 12 ივნისი დიადი დღეა როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის, ისე ჩვენთვისაც — პიონერებისა და მოსწავლეებისათვის. ამ დღეს ჩვენი დედები და მამები, უფროსი დები და ძმები აირჩევენ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს. საბჭოთა ბავშვები ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენთ ჩვენს მშობლებს არჩევნებისათვის მზადებასა და თვით არჩევნებში.

ქართველი ხალხის ხელმძღვანელმა ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ დაგვისახა პასუხსაგები ამოცანა — ვისწავლოთ ფრიადზე. ჩვენ ვიცით, რომ გმირობისა და სახელის საქმე ჩვენთვის ფრიადზე სწავლაა. ყოველგვარ ღონეს ვიხმართ, რათა ეს ამოცანა ღირსეულად შევასრულოთ.

როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ისე ჩვენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნორჩი მოქალაქენი, ვცხოვრობთ საამურად და ბედნიერად. ჩვენ ყველაზე ბედნიერი ბავშვები ვართ მსოფლიოში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც სისხლიანი ფაშიზმი პარპაშობს, ნორჩ თაობას, ბავშვებს მოელით მხოლოდ შიმშილით სიკვდილი. ფაშისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობა აუტანელ პირობებში ცხოვრობს, მაგრამ იგი იბრძვის გამარჯვებისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის მომავალში.

ჩვენ, თბილისის ნორჩი მოქალაქენი, ჩვენი მშობლების მთელ ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ 12 ივნისს დილის 6 საათიდანვე მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

პიონერებსა და მოწაფეებს მუდამ გვახსოვს დიდი სტალინის სიტყვები კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ. გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ბოლშევიკური პარტია. ყოველთვის მზად ვართ, როდესაც კი საჭირო იქნება, საკუთარი სიცოცხლე შევწიროთ ჩვენს სამშობლოს. ყოველთვის მზად ვართ ვიბრძოლოთ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირს! (აპლოდისმენტები).

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! (აპლოდისმენტები).

გაუმარჯოს ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარს, მშობლიურ დიდ სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი აპლოდისმენტები).

## ქ უ თ ა ი ს ი

### ქუთაისის ელექტროსადგურისა და მექანიკური სახელოსნოს მუშათა და სპეციალისტთა წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

### ერთსულოვნად არიან წამოყენებული კანდიდატებად:

# ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
# ნინო იროდიონის-ასული კიკაჩეიშვილი

ქუთაისის ელექტროსადგურისა და მექანიკური სახელოსნოს მუშათა და სპეციალისტთა წინასაარჩევნო კრებას 300 კაცი დაესწრო.

კრებაზე გამოსულმა ელექტროსადგურის პარტკომის მდივანმა პორფილე ქუთათელაძემ წინადადება შემოიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად წამოყენებულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. მშრომელთა საყვარელი მეგობრის, მასწავლებლისა და ბელადის სახელის ხსენებას მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

მექანიკური სახელოსნოს მუშამ სტახანოველმა ამხ. ივანე ყუფარაძემ წამოაყენა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. პ. ბერიას კანდიდატურა.

შემდეგ გამოვიდა მექანიკური სახელოსნოს სტახანოველთა ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. კონსტანტინე ბერაძე. მან წინადადება შემოიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ინჟინერ-არქიტექტორი ნინო იროდიონის-ასული კიკაჩეიშვილი, პარტიის წევრი 1931 წლიდან. ამხ. კიკაჩეიშვილი მუშაობს ქუთაისის ქალაქის საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში, იგი აქტიური საზოგადო მუშაკია.

ამხ. კიკაჩეიშვილი დაბადებულია გლეხის ოჯახში. მისი მშობლები კოლმეურნეობის წევრებია.

კრების დამსწრე მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხ. ბერაძის წინადადებას. (საქინფორმი).

## თ ე ლ ა ვ ი

### თელავის რაიონის სოფელ ახმეტის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად წამოაყენეს:

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
# ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
# ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი

სოფელ ახმეტაში შესდგა ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრება.

კრების მონაწილენი დიდი აღფრთოვანებითა და ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ კოლმეურნე გიორგი ბაბუევის წინადადებას, რათა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ იქნან გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის დიადი კონსტიტუციის შემოქმედი, ხალხთა დიდი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია და საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი.

სიტყვით გამოვიდნენ მოწინავე კოლმეურნეები ამხ. ს. ჭუაძე, შ. ლოლაძე, ლ. დავიდოვა, ა. ფარულავა და სხვები.

თავის მხურვალე და შეგრძნობიარე სიტყვებში ისინი ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ ამხანაგებს.

ტაშის გრიალსა და ვაშას შეძახილებში კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც კოლმეურნე და კოლმეურნე ქალებმა იკისრეს ვალდებულება, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ისტორიულ დღეს შეხვდებიან საკოლმეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებით, ღრმად შეისწავლიან არჩევნების დებულებასა და ერთსულოვნად მისცემენ ხმას ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს. (საქინფორმი).

## ს ი ღ ნ ა ღ ი

### სოფელ ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოაყენეს:

# იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
# კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი

სოფელ ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებამ, რომელსაც ესწრებოდა 200-ზე მეტი ამომრჩეველი, ორდენოსანი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა მსოფლიო მშრომელთა იმედი, საყვარელი ბელადი, მეგობარი და ბრძენი მასწავლებელი სტალინი.

ამხანაგ სტალინის კანდიდატურის დასახელებამ უსაზღვრო სიხარული და აღტაცება გამოიწვია კრების დამსწრეთა შორის. გაისმის შეძახილები და ხანგრძლივი ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა კოლმეურნემ ამხ. პეტრე დანილოვმა აღფრთოვანებით დაასახელა დეპუტატობის კანდიდატად დიდი სტალინის თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი, ოქტომბრის მონაპოვართა ღირსეული დამცველი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.



ვ. ადორატსკი

# კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი
(მისი დაბადების 120 წლისთავისათვის)

უდიდესი რევოლუციონერი, პროლეტარიატის ბელადი და თეორეტიკოსი კარლ მარქსი უაღრესად გენიალური მოაზროვნე და მეცნიერი იყო. ენგელსთან ერთად მან შექმნა მეცნიერული კომუნიზმი — მუშათა კლასის უკვდავი მოძღვრება, მძლავრი თეორიული იარაღი მის ბრძოლაში.

მარქსმა პირველმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის წარმოშობის, არსებობისა და დაღუპვის კანონები, მან მეცნიერულად დაამტკიცა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის აუცილებლობა და გარდაუვალობა. მარქსმა პირველმა გამოაცხადა პროლეტარიატის, როგორც ყველა ჩაგრულისა და ექსპლოატირებულის ბელადის, დიდი მსოფლიო-ისტორიული ამოცანა — კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანა.

მარქსი, ენგელსთან ერთად, პროლეტარიატის მოწინავე რაზმის კომუნისტური პარტიის პირველი ორგანიზატორი და ბელადი იყო.

კარლ მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს ქალაქ ტრირში (რეინის პრუსია). აქ მან დაამთავრა გიმნაზია, შევიდა ჯერ ბონისა და შემდეგ კი ბერლინის უნივერსიტეტში, სწავლობდა იურიდიულ მეცნიერებას, მაგრამ ყველაზე მეტად ისტორიისა და ფილოსოფიის. მარქსი ადრე გაეცნო ვოლტერის, რუსოს და ენციკლოპედისტთა ნაწარმოებებს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მის იდეურ განვითარებაზე.

სტუდენტობისას მარქსმა ღრმად შეისწავლა ჰეგელისა და მისი სკოლის ყველა ნაწარმოები და მიემხრო მემარცხენე ჰეგელიანელთა — ჰეგელის იმ მოწაფეთა წრეს, რომლებიც, — როგორც ლენინი სწერდა, — „ცდილობდნენ ჰეგელის ფილოსოფიიდან გამოეყვანათ ათეისტური და რევოლუციური დასკვნები“ [1]). უკვე ამ წლებში მარქსს ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი ფილოსოფიური განათლების სიფართოვით, თავისი ბრწყინვალე გონებამახვილობით, თავისი აზროვნების სიღრმით.

1841 წელს მარქსმა დაამთავრა უნივერსიტეტი და დაიცვა დისერტაცია ეპიკურის ფილოსოფიის თემაზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მარქსი დასახლდა ბონში და ემზადებოდა სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის, მაგრამ მთავრობის რეაქციულმა პოლიტიკამ აიძულა მარქსი ხელი აეღო მეცნიერულ კარიერაზე. მარქსი ჟურნალისტი გახდა. მან მუშაობა დაიწყო „რეინის გაზეთში“ — პროგრესიულ ორგანოში, რომელიც გამოდიოდა 1842 წლის 1 იანვრიდან კელნში და რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მემარცხენე ჰეგელიანელები. მარქსმა ამ გაზეთში მოათავსა მთელი რიგი ბრწყინვალე სტატიები პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. საგაზეთო მუშაობამ დაანახვა მარქსს, რომ იგი საკმაოდ არ იცნობს პოლიტიკურ ეკონომიას, და იგი გულმოდგინედ შეუდგა ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას.

1843 წელს მარქსმა ცოლად შეირთო ჟენი ფონ-ვესტფალენი, ბავშვობის მეგობარი, და მალე გაემგზავრა საზღვარგარეთ, როგორც ემიგრანტი. მარქსის ცოლი იყო მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, თანაშემწე მის მუშაობაში.

1843-დან 1844 წლამდე მარქსი სცხოვრობდა პარიზში, ხოლო 1845-დან 1848 წლის დასაწყისამდე — ბრიუსელში. მარქსის მეგობრობა ენგელსთან დაიწყო მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ პარიზში 1844 წლის სექტემბერში. მარქსმა და ენგელსმა მაშინ უაღრესად მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პარიზის რევოლუციური ჯგუფების მჩქეფარე ცხოვრებაში.

მარქსსა და ენგელსს შორის დამყარდა შეხედულებათა და მისწრაფებათა ერთიანობა, რამაც მათი კავშირი განუწყვეტელი გახადა მთელს სიცოცხლეში.

მარქსმა ენგელსთან ერთად შექმნა მეცნიერული კომუნიზმის თეორია. მარქსისა და ენგელსის ხელმძღვანელობით 1847 წელს დაარსდა „კომუნისტების კავშირი“, რომელიც კომუნისტური პარტიის ჩამოყალიბების პირველი ცდა იყო. იმავე წელს მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტების კავშირის“ II კონგრესის დავალებით შექმნეს უდიდესი დოკუმენტი კაცობრიობის ისტორიაში — „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“. „ამ ნაწარმოებში, — სწერდა ლენინი, — გენიალური სიცხადითა და სიმკვეთრით არის მოხაზული ახალი მსოფლმხედველობა, თანამიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც მოიცავს სოციალური ცხოვრების დარგსაც, დიალექტიკას, როგორც ყველაზე უფრო მრავალმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარების შესახებ, კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლის თეორია“. [2])

როცა 1848 წლის თებერვლის რევოლუციამ იფეთქა, მარქსი, რომელიც გადასახლებული იყო ბელგიიდან, ცოტახნით ჩავიდა პარიზს, იქიდან კი გაემგზავრა კელნს (გერმანია). იქ 1848 წლის 1 ივნისიდან გამოდიოდა „რეინის ახალი გაზეთი“, რომლის მთავარი რედაქტორი გახდა მარქსი. ეს იყო რევოლუციური პროლეტარიატის პირველი გაზეთი. მარქსი გაზეთის ფურცლებზე თანამიმდევრულად აშუქებდა და ფარდას ჰხდიდა გერმანიის სხვადასხვა კლასების როლს, ხაზს უსვამდა პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას, ამხილებდა მხდალი და სულმდაბალი ლიბერალური ბურჟუაზიის გამცემლურ პოლიტიკას, იმ ბურჟუაზიისას, რომელმაც საჩქაროდ დასდო კავშირი რეაქციასთან, აგრეთვე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის არათანამიმდევრულ, მერყევ პოლიტიკას.

„რეინის ახალმა გაზეთმა“ 1849 წლის 19 მაისამდე იარსება. რამდენიმე დღით ადრე მარქსი გადასახლებულ იქნა გერმანიიდან. იგი ჯერ პარიზს გაემგზავრა და შემდეგ კი ლონდონს, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა.

მარქსი ლონდონში დასახლდა, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი, და დაიწყო უდიდესი მუშაობა კაპიტალისტური წყობილების შესასწავლად. მას უაღრესად მძიმე მატერიალურ პირობებში უხდებოდა მუშაობა. გაჭირვება არაერთხელ უქადდა მარქსსა და მისი ოჯახის წევრებს შიმშილით ამოწყვეტას. მხოლოდ ენგელსის მუდმივმა თავგანწირულმა მატერიალურმა დახმარებამ შეაძლებინა მას ბოლომდე მიეყვანა გიგანტური მუშაობა „კაპიტალზე“.

მეტის-მეტი მუშაობა, რომლის გაწევაც მარქსს უხდებოდა, ჯანმრთელობას უტეხდა მას. დღისით ლუკმა-პურისათვის მუშაობდა, ღამით კი — „კაპიტალის“ ხელნაწერზე. ღამის დაძაბული მუშაობა ავადმყოფობის შემოტევას იწვევდა, რასაც მარქსი მწყობრიდან გამოჰყავდა და ხელს უშლიდა მას მუშაობაში.

შავბნელი რეაქციის წლებში, რომელიც 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დადგა, მარქსს არ შეუწყვეტია ბრძოლა მუშათა კლასში რევოლუციური ენერგიის ახალი აღმავლობისათვის, არ შეუწყვეტია ბურჟუაზიული დემაგოგების საზიზღრობათა და ინგლისის ლიბერალური სახელმწიფო მოღვაწეთა პირმოთნეობის მხილება.

მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობა ევროპაში 60-იან წლებში დაიწყო. 1864 წლის დამლევს მარქსის უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა პირველი მასობრივი პროლეტარული პარტია „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა“ — პირველი ინტერნაციონალი. მარქსი იყო ამ ორგანიზაციის სულისჩამდგმელი, მისი მთავარი ხელმძღვანელი, ყველა მისი მნიშვნელოვანი დოკუმენტის — რეზოლუციების, განცხადებების, მანიფესტების ავტორი.

„აერთიანებდა რა სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობას, სცდილობდა რა გაერთიანებული მოქმედების კალაპოტში ჩაეყენებინა არაპროლეტარული, მარქსიზმამდე არსებული სოციალიზმის სხვადასხვა ფორმები (მაძინი, პრუდონი, ბაკუნინი, ინგლისური ლიბერალური ტრედიუნიონიზმი, ლასალური მერყეობა მარჯვნისაკენ გერმანიაში და სხვ.), ებრძოდა რა ყველა ამ სექტისა და სკოლების თეორიას, მარქსი სჭედდა სხვადასხვა ქვეყნებში მუშათა კლასის პროლეტარული ბრძოლის ერთიან ტაქტიკას“. [3]) ასე ახასიათებს ლენინი მარქსის ამ პერიოდის მუშაობას.

1867 წლის აპრილს მარქსმა დასაბეჭდად გადასცა „კაპიტალის“ პირველი ტომი, ეს უდიდესი შრომა, სადაც მოცემულია კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის აღმოცენების, განვითარებისა და დაღუპვის კანონების ღრმა მეცნიერული გამოხატულება და განმარტება. ბუმბერაზული ძალა და ენერგია, რკინისებური გამძლეობა, წარმოუდგენელი შრომისუნარიანობა გამოიჩინა მარქსმა ამ სახელოვანი წიგნის დაწერის დროს. ამ წიგნს შესწირა მან თავისი ჯანმრთელობა, ცხოვრების სიკეთენი, ოჯახის ინტერესები.

„კაპიტალის“ პირველი ტომი 1867 წლის სექტემბერს გამოვიდა.

ამ წიგნის გამოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში უდიდესი ამბავი მოხდა. პირველად ისტორიაში პარიზის პროლეტარიატმა ხელში აიღო ძალაუფლება. პარიზის კომუნა, რომელმაც მხოლოდ 72 დღე იარსება — 1871 წლის 18 მარტიდან 28 მაისამდე, პროლეტარიატის უდიდესი გმირობა იყო.

მარქსმა მოაწყო დახმარება და ხელშეწყობა პარიზის კომუნისათვის მის განკარგულებაში მყოფ ყველა საშუალებებით, მან დაამყარა კომუნასთან რეგულარული კავშირი, ძვირფას მითითებებს აძლევდა კომუნის მთავრობის წევრებს, კომუნის დამხობის შემდეგ კი გამოაქვეყნა წიგნი „სამოქალაქო ომი საფრანგეთში (1871 წ.)“, სადაც არ მალავს რა კომუნის არც ერთ შეცდომას, ამომწურავად დაახასიათა და შეაფასა პარიზის მუშების რევოლუციური საქმის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

პროლეტარული სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი საფუძვლები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო მარქსის მიერ კომუნის გამოცდილების საფუძველზე, ლენინმა განავითარა, მოახდინა მათი კონკრეტიზაცია, გაამდიდრა ახალი შინაარსით, რისთვისაც გამოიყენა XX საუკუნის რევოლუციების გამოცდილება. ლენინმა აღმოაჩინა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ფორმა — საბჭოთა ხელისუფლება, რაც მოპოებულ იქნა ჩვენ ქვეყანაში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

მას შემდეგ, რაც პირველმა ინტერნაციონალმა თავისი არსებობა შესწყვიტა, მარქსი და ენგელსი რჩებოდნენ იმ ცენტრად რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნის მუშათა რევოლუციურ მოძრაობას. მათ მიმართავდნენ ხოლმე რჩევისათვის როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის, ისე რომანული და სკანდინავიურ ქვეყნების, ამერიკისა და რუსეთის მუშათა პარტიების ხელმძღვანელები.

მარქსი თვალყურს ადევნებდა რა ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გერმანიას, სადაც 1869 წლიდან შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მაშინ პარტიის სათავეში იდგნენ ავგუსტ ბებელი და ვილჰელმ ლიბკნეხტი, რომლებმაც თავის დროზად აირჩიეს მარქსის მოძღვრება. მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ბევრი იყო წვრილბურჟუაზიული, შემთანხმებლური ხასიათის შეცდომა.

მარქსსა და ენგელსს არაერთხელ მოუხდათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადთა შემარიგე-

1) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი XVIII, გვ. 5.

2) იქვე, გვ. 6.

3) იქვე, გვ. 7.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კომუნისტები და უპარტიოები ერთად ასახელებენ სამშობლოს ნამდვილ პატრიოტებს

## ა ფ ხ ა ზ ე თ ი

**ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოაყენეს:**

### იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
### ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
### ლაზარ მოსეს-ძე კაგანოვიჩი
### ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
### გრიგოლ ალექსის-ძე ფუჩულია

**სოხუმი** (საკ. კორ.) 30 აპრილს შესდგა ტყვარჩელის მაღაროების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელსაც 600-მდე კაცი დაესწრო.

საქართველოს და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასასახელებლად პირველად სიტყვა აიღო მეოთხე უბნის სტახანოველმა მემაღაროემ ამხ. ა. ფედორენკომ. მან სთქვა:

საბჭოთა ხალხების გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს მე ვასახელებ საქართველოს სს რესპუბლიკის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად.

მაღაროების მუშები ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგ სტალინის კანდიდატურის დასახელებას.

სიტყვა აიღო ამხ. აბდოკოვმა.

ამხ. აბდოკოვი საქართველოს და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს სტალინის ერთგულ თანამე-

[illegible]

ვათა ორგანიზატორს, საუკეთესო სტალინელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ამხ. შილობოკოვს, შემოაქვს წინადადება აფხაზეთის და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საუკეთესო შინსახკომელი ამხ. გრიგოლ ალექსის-ძე ფუჩულია.

მუშები დიდი მოწონებით შეხვდნენ თვითეული კანდიდატის დასახელებას.

## თ ბ ი ლ ი ს ი

**თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სტახანოველებმა, მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად წამოაყენეს:**

### ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
### ნინო სვიმონის-ასული აგაშენაშვილი

უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება, რომელსაც 500-ზე მეტი კაცი დაესწრო.

სიტყვით გამოსულმა ფაბრიკის მოწინავე სტახანოველმა ამხ. ლ. ბ. რატიანმა ორდენოსანი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი, ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ამხანაგ ბერიას კანდიდატურის წამოყენებამ კრების აღფრთოვანება გამოიწვია.

სტახანოველმა მქსოველმა ამხ. ლიდა გუკავამ აღტაცებით დაუჭირა მხარი ამხ. რატიანის წინადადებას საქართველოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლ. პ. ბერიას წამოყენებას და თავის მხრივ წამოაყენა ფაბრიკის ახალგაზრდა მოწინავე სტახანოველი მქსოველი ქალის ამხ. ნინო სვიმონის-ასულ აგაშენაშვილის კანდიდატურა.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი, — სთქვა მან, — კარგად იცნობს აქტიურ კომკავშირელს, მოწინავე სტახანოველს ამხ. ნინო აგაშენაშვილს. მიუხედავად იმისა, რომ ის მეტად ახალგაზრდაა და ახლა პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში, მან მაინც სამართლიანად დაიმსახურა მთელი ჩვენი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა.

ამხ. რატიანისა და გუკავას წინადადებებს ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად და აღფრთოვანებით შეხვდა.



თბილისი. ჩელუსკინელების სახელობის მე-29 საარჩევნო ოლქი. სურათზე: მე-29 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მწერალი დრამატურგი შალვა დადიანი და საოლქო კომისიის წევრი მოქანდაკე ორდენოსანი ი. ნიკოლაძე სინჯავენ ამომრჩეველთა სიებს.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

**თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენა ამხანაგები:**

### ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
### სოფიო სოლომონის-ასული მიქაბერიძე

დღის სრულ 4 საათზე თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კლუბში საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასასახელებლად მოწვეულ წინასაარჩევნო კრებაზე თავი მოიყარეს ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

ფაბრიკის პარტკომის მდივნის ამხ. მ. მურადაშვილის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ პირველად გამოდის ფაბრიკის მოწინავე მუშა ამხ. სონია კობიძე.

— დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა დავასახელოთ საქ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. წინადადება შემომაქვს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის მთავრობის ღირსეული მეთაური ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი (მქუხარე ოვაცია, შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს").

შემდეგ გამოდის ამხ. ვ. საგურიშვილი — მოწინავე მუშებს შორის — ამბობს იგი — პირველ რიგში დგას ჩვენი სასიქადულო სტახანოველი ამხ. სოფიო სოლომონის-ასული

[illegible]

ტად დავასახელოთ ჩვენი საამაყო სტახანოველი ამხ. **სოფიო სოლომონის-ასული მიქაბერიძე** (მქუხარე ტაში).

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ალ. ზაქარიანი, ვ. ჩიჩიანი, მ. ლეჟავა, ნ. სხირტლაძე, აბ. სურეიშვილი, ქ. შანშიაშვილი, ვ. ჯორბენაძე, ი. ქავთარაძე და სხვ., რომლებიც ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად საკავშირო მთავრობის საყვარელი თავმჯდომარის ამხანაგ ვ. მოლოტოვისა და ფაბრიკის დამსახურებულ სტახანოველის ამხ. ს. მიქაბერიძის დასახელებას.

## დაიწყო ჩაის კრეფა

(სოხუმი, ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთში დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. კრეფას ყველაზე ადრე შეუდგა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც 5 მაისს ფაბრიკას ჩააბარა 600 კილოგრამი შერჩევით ნაკრეფი ჩაის მწვანე ფოთოლი.

საუკეთესო ამინდები ხელს უწყობს ჩაის ვეგეტაციას.

**გ. მერკვილაძე**

## საგაზაფხულო კულტურების თესვის მიმდინარეობა

30 აპრილისთვის საბჭოთა კავშირში დათესილია 44.113 ათასი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები — გეგმის 52 პროცენტი. შარშან ამავე რიცხვისთვის გეგმა შესრულებული იყო 56 პროცენტით. კოლმეურნეობებმა დასთესეს 40.144 ათასი ჰექტარი — გეგმის 52 პროცენტი და ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებმა — 3.969 ათასი ჰექტარი — 53 პროცენტი. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 58 პროცენტით, სსრ კავშირის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობებმა — 50 პროცენტით და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებმა — 57 პროცენტით.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 43 პროცენტით.

## ქ რ ო ნ ი კ ა

რსფსრ სახკომსაბჭომ ამხ. ფ. ნ. **ფილიპოვი** დაამტკიცა რსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსად.

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ს. ე. **სკრინიკოვი** დაამტკიცა დამზადებათა სახალხო კომისრად.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ს. ე. **სკრინიკოვი** გაანთავისუფლა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მ. ვ. **პოპოვი** გაანთავისუფლა დამზადებათა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, რადგან მან საქმეს თავი ვერ გაართვა.

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. ფ. **მერეკალოვი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად გერმანიაში.

(საკდესი).

## გაიხსნა გამოფენა — „მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XX წელი"

სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი მიძღვნილი მეოთხე საიუბილეო გამოფენა, რომელიც 5 მაისს გაიხსნა, საბჭოთა ხელოვნების დიდი დღესასწაულია. პირველ დღეს გამოფენა მრავალმა ასეულმა ადამიანმა ინახულა. სურათებთან, ქანდაკებებთან, გრაფიკული ხელოვნების ნაწარმოებებთან, რომლებიც მოთავსებულია 20-ზე მეტ დარბაზში, დამთვალიერებელთა დაინტერესებული ჯგუფები დგანან. გამოფენის გახსნის დამსწრეთა შორის არიან სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. ნაზაროვი, პირველი ცხენოსანი არმიის გმირულ ლაშქრობათა ერთერთი გამოჩენილი მონაწილე კორპუსის მეთაური ო. ი. გოროდოვიკოვი, შავი ზღვის ფლოტის სარდალი, მეორე რანგის ფლაგმანი ი. ს. იუმაშევი, საბჭოთა კავშირის გმირები — ი. დ. პაპანინი, პ. პ. შირშოვი, ა. ბ. იუმაშევი და სხვები.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოს დავალებით გამოფენა გახსნა პოლკის კომისარმა ამხ. ვ. ი. მაქსიმოვმა. თავის შესავალ სიტყვაში მან სთქვა, რომ საიუბილეო გამოფენაზე — „მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წელი" — წარმოდგენილია 450-ზე მეტი ნამუშევარი, რომელიც 300-ზე მეტ მხატვარსა და მოქანდაკეს ეკუთვნის. გამოფენისათვის გადარჩეული ყველა ნაწარმოები, ერთ შენობაში არ დაეტია: მათი ნაწილი ექსპონირებული იქნება მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის ცენტრალურ სახლში.

მქუხარე და ხანგრძლივი ტაში ისმის დარბაზში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ხალხთა დიდი ბელადის, პროლეტარული რევოლუციის გენიალური სტრატეგის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, თავდაცვის სახკომის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ ვოროშილოვის პატივსაცემად.

გამოფენა გახსნილია, დამთვალიერებლები ერთი დარბაზიდან მეორეში გადადიან, დიდხანს ჩერდებიან სურათებთან და ქანდაკებებთან, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცენტრალური დარბაზი. აქ გამოფენილია მთელი რიგი მონუმენტალური ტილოები, რომელთა შორისაც არის „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი საუბრის დროს" ა. ვ. მოროზოვისა, „ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი" ა. მ. გერასიმოვისა, „თავდაცვის სახკომი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ე. ვოროშილოვი თხილამურით სეირნობის დროს" ი. ი. ბროდსკისა, „ამხანაგი სტალინი და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრები ტუშინოს აეროდრომზე" ვ. ო. სვაროგისა; აქვეა ამხანაგი ი. ბ. სტალინის, ვ. მ. მოლოტოვის, მ. ი. კალინინის, ა. ი. მიქოიანისა და ნ. ი. ეჟოვის პორტრეტები. ამავე დარბაზში მოთავსებულია მოქანდაკის ზ. მ. ვილენსკის მიერ შესრულებული უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც გვიხატავს სერგეი მირონის-ძე კიროვის სამოქალაქო ომის დროინდელ სახეს.

○

5 მაისს, საღამოთი, გამოფენა ინახულა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა და სახკომის მოადგილემ არმიის 1 რანგის სარდალმა ამხ. ი. ფ. ფედკომ.

ამხ. ვოროშილოვი 2 საათის განმავლობაში ყურადღებით ეცნობოდა გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს.

## პარტიის კიევის საოლქო კომიტეტმა და საქალაქო კომიტეტმა გააუქმეს პარტიული კრების არასწორი და პოლიტიკურად მავნე გადაწყვეტილება

**კიევი,** 6 მაისი (საკდესი). გასული წლის დეკემბერში კიევის წითელდროშოვანი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც 18 კომუნისტს და კომკავშირელს უსაფუძვლოდ დასდო ბრალი იმაში, რომ ისინი ხელს უწყობდნენ ხალხის მტრებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ეგოროვმა, რომელიც კრებას დაესწრო, არაფერი არ გააკეთა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ამ არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

საჭირო შეიქნა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური მითითება, რათა მოეხსნათ მძიმე ბრალდება, ასე ქარაფშუტულად წაყენებული 18 კომუნისტისა და კომკავშირელისთვის.

პარტიის კიევის საოლქო კომიტეტმა და საქალაქო კომიტეტმა თავისი დადგენილებით გააუქმეს წითელდროშოვანი ქარხნის პარტიული კრების 1937 წლის 16-23 დეკემბრის არასწორი და პოლიტიკურად მავნე გადაწყვეტილება და მოახდინეს უმართებულოდ ბრალდებული ამხანაგების რეაბილიტაცია.

ქარხნის პარტკომის მდივანს ამხ. ხავაკავას და უკრაინის კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. ეგოროვს მიეთითათ, რომ მათ დაუშვეს პარტიული კრების მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა და არ მიიღეს საჭირო ზომები იმისათვის, რომ გაეუქმებინათ ეს გადაწყვეტილება და მოეხდინათ პატიოსანი კომუნისტებისა და კომკავშირელების რეაბილიტაცია.

პარტიის კიროვის რაიკომს მიეთითა, რომ მან ბოლომდე არ მიიყვანა რეაბილიტაცია ცალკეული კომუნისტებისა წითელდროშოვანი ქარხნის პარტორგანიზაციიდან და არ გააუქმა პარტიული კრების არასწორი გადაწყვეტილება.

პარტიის კიევის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაავალა წითელდროშოვანი ქარხნის პარტკომს განუმარტოს ეს გადაწყვეტილება პარტორგანიზაციის წევრებს.

## რას მოითხოვენ ჩვენგან

ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით, 6 მაისს, ქ. გორში შესდგა გორის რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის კრება მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან ერთად.

კრება გახსნა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. **ს. საყვარელიძემ.**

მოსმენილ იქნა გაზ. „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის ამხ. ვ. ხატიაშვილის მოხსენება „კომუნისტის" მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **გ. თავაძემ** (საკონსერვო ქარხანა), **გ. ჰეხაშვილმა** (საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი), **გ. ყაჯრიშვილმა** (საკონსერვო ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქცია), **ვ. თურმანიძემ, ალ. მიქავამ, მაზმიშვილმა** (გორის პედინსტიტუტი) და **ქ. მგალობლიშვილმა** (რაიგაზეთი „სტალინელის" რედაქცია).

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ „კომუნისტის" რედაქციამ უკანასკნელ ხანებში შედარებით გააუმჯობესა თავისი მუშაობა. სწორდება ის მდგომარეობა, როდესაც ზოგიერთ რაიონებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ხოლო დანარჩენებს უყურადღებოდ სტოვებდნენ. ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გაზეთის ენა, სტილი და ხარისხი, გაცხოველდა გაზეთში პარტიული ცხოვრების გაშუქება და სხვ. გაზეთში უფრო მეტად მოსჩანან ავტორები ადგილებიდან და პარტიულ-საბჭოთა აქტივიდან.

მიღწევათა აღნიშვნასთან ერთად მოკამათეებმა აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს „კომუნისტს", და მოუწოდეს რედაქციის ხელმძღვანელობას მიიღოს გადამჭრელი ზომები მათ გამოსასწორებლად.

ნაკლთა შორის აღნიშნული იყო, რომ „კომუნისტი" სუსტ ხელმძღვანელობას უწევს სარაიონო და ძირეულ პრესას, ჯერ კიდევ ადგილი აქვს მშრომელთა წერილებისა და კორესპონდენტების მიერ მიწოდებული მასალისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, ამასთან ვხვდებით იმის მაგალითებსაც, რომ რედაქციის მიერ ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის ზომების მისაღებად გადაგზავნილ მასალებს ადგილებზე ზოგჯერ ყურადღებას არ აქცევენ, ხოლო რედაქცია თავის მხრივ არ ღებულობს ამის წინააღმდეგ საჭირო ზომებს, არ მისდევს ბოლომდე ამ მასალათა შედეგიანობას.

მოკამათეებმა უსაყვედურეს აგრეთვე გაზეთს, რომ იგი არ ეხმარება ჯეროვნად მუშსოფლკორებსა და ძირეული პრესის მუშაკებს, სუსტია ინსტრუქტაჟი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იწერებოდეს კორესპონდენციები, როგორ კეთდებოდეს გაზეთი, როგორ უნდა მუშაობდნენ ძირეული პრესის მუშაკები და სხვ. გამოთქმული იყო საყვედური იმის შესახებაც, რომ გორის რაიონზე „კომუნისტი" ცოტას სწერს, თითქმის სრულიად არაფერი იწერება თვით ქალაქ გორის აღდგენისა და კეთილმოწყობის საკითხებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავენ.

აქტივის კრებამ ამ გამოსვლათა მიხედვით მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები.

---

ბლობისა და შემთანხმებლობის გაკრიტიკება. მარქსი იძულებული ხდებოდა განსაკუთრებით მოთმინებით განემარტა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. მარქსი პროლეტარიატის დიქტატურას განსაზღვრავს როგორც „მუშების **კლასობრივ ბატონობას** ძველი სამყაროს იმ ფენებზე, რომლებიც მათ წინააღმდეგობას უწევენ". ეს კლასობრივი ბატონობა, — ამბობს მარქსი, — მანამდე გასტანს, სანამ არ დაინგრევა კლასების არსებობის ეკონომიური საფუძვლები. რევოლუციური ბრძოლის გაუწევლად, რევოლუციური ძალდატანების მოუხდენლად შეუძლებელია კლასების ლიკვიდირება.

წამოაყენა რა მოძღვრება პროლეტარიატის ჰეგემონიისა და დიქტატურის შესახებ, მარქსმა ამავე დროს განმარტა, რომ პროლეტარიატი არის გლეხთა მასების ბელადი. მარქსი გვასწავლიდა, რომ პროლეტარიატმა, სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ უნდა გაატაროს ღონისძიებანი გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ამით მოიზიდოს იგი რევოლუციის მხარეზე. ამ ღონისძიებებში უნდა იყოს კერძო საკუთრებიდან კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლის ჩანასახი, რათა გლეხებს შეეძლოთ ადვილად გადავიდნენ წვრილი კერძო სასოფლო მეურნეობიდან მსხვილ განსაზოგადოებულ სასოფლო მეურნეობაზე.

ეს პოლიტიკა, რომელიც დასახა მარქსმა, დააკონკრეტეს, განავითარეს და ცხოვრებაში გაატარეს ლენინმა და მისი საქმის გენიალურმა განმგრძობმა ამხანაგმა სტალინმა. ლენინ-სტალინის პარტიამ ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებით უზრუნველჰყო მსხვილი კოლექტიური მიწათმოქმედების ბრწყინვალე გამარჯვება სსრ კავშირში.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მარქსი ხელმძღვანელობას უწევდა მუშათა მოძრაობის მსვლელობას ყველა ქვეყანაში და ამავე დროს დაუღალავად ეწეოდა კოლოსალურ სამეცნიერო მუშაობას.

1869 წლის დამლევს როცა მარქსი უკვე 51 წლისა იყო, ის შეუდგა რუსული ენის შესწავლას და სამი თვის განმავლობაში იმდენად დაეუფლა მას, რომ შეეძლო დამოუკიდებლად წაეკითხა წიგნები რუსეთის ეკონომიკის შესახებ. მარქსი სწავლობდა რუსეთის აგრარულ საკითხს. საერთოდ რუსეთი მას აინტერესებდა, როგორც ისეთი ქვეყანა, სადაც მწიფდებოდა რევოლუცია. მარქსი წინასწარ ხედავდა, რომ რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიო რევოლუციისათვის.

1881 წლის 2 დეკემბერს გარდაიცვალა მარქსის ცოლი, 1883 წლის იანვარს გარდაიცვალა მისი საყვარელი უფროსი ქალიშვილი, 2 თვის შემდეგ კი, იმავე წლის 14 მარტს, გარდაიცვალა მარქსი, მშვიდად მიიძინა საბოლოოდ თავის სავარძელში. იგი დაკრძალულია თავის ცოლთან და ერთგულ მოსამსახურე-ქალთან, თითქმის ოჯახის წევრთან, ელენე დემუტთან ერთად ჰაიგეიტის სასაფლაოზე ლონდონში.

○

მარქსის გარდაცვალებიდან 55 წელზე მეტი გავიდა. ბურჟუაზიამ და მისმა ლაქიებმა ცოტა ძალღონე როდი დახარჯეს იმისთვის, რომ შეერყვნათ მარქსის მოძღვრება, დაემახინჯებინათ მისი სახე, ყალბად დაეხატათ მისი ცხოვრება და პიროვნება. ჩვენს დროში „მარქსიზმის მესაფლავეთა" როლი ფაშისტებმა იკისრეს. „მარქსიზმის დასამარების" ამ სასაცილო ცდების შესახებ ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე სთქვა:

„ამბობენ, რომ დასავლეთში ზოგიერთ სახელმწიფოში უკვე მოისპო მარქსიზმი, ამბობენ, რომ იგი თითქოს მოსპო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მიმდინარეობამ, რომელსაც ფაშიზმს უწოდებენ. ეს, რასაკვირველია, სისულელეა. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელნიც არ იცნობენ ისტორიას. მარქსიზმი არის მუშათა კლასის არსებითი ინტერესების მეცნიერული გამოხატულება რომ მოსპო მარქსიზმი, უნდა მოსპო მუშათა კლასი. მუშათა კლასის მოსპობა კი შეუძლებელია. 80 წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც მარქსიზმი გამოვიდა ასპარეზზე. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ათეული და ასეული ბურჟუაზიული მთავრობები ცდილობდნენ მარქსიზმის მოსპობას. მაგრამ რა? ბურჟუაზიული მთავრობები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ხოლო მარქსიზმი რჩებოდა. **(მქუხარე ტაში).** უფრო მეტი, — მარქსიზმმა მიაღწია იმას, რომ მან სრული გამარჯვება მოიპოვა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, ამასთან გაიმარჯვა სწორედ იმ ქვეყანაში, სადაც მარქსიზმს საბოლოოდ განადგურებულად სთვლიდნენ. **(მქუხარე ტაში)**"[1])

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა შეასრულა მარქსისა და ენგელსის ანდერძი: მან დაიპყრო ძალაუფლება, დაამყარა თავისი დიქტატურა, ძირითადად ააშენა სოციალიზმი — კომუნიზმის პირველი ფაზა, შექმნა ძლიერი სოციალისტური სახელმწიფო.

დიად კომუნისტურ პარტიას, რომელსაც ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს, გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს საბჭოების ქვეყანა. რას უნდა უმადლოდეს პარტია ამ თავის წარმატებებს? „იმას, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVII ყრილობაზე, — რომ იგი წარმოადგენს მარქსისტულ პარტიას, ლენინურ პარტიას. იგი უნდა უმადლოდეს იმას, რომ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებით. ეჭვს გარეშეა, რომ სანამ ჩვენ ვრჩებით ამ მოძღვრების ერთგულნი, სანამ ჩვენ ხელთ გვიპყრია ეს კომპასი — გვექნება წარმატებანი ჩვენს მუშაობაში".[2])

მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის იდეებმა თავისი ბრწყინვალე განხორციელება ჰპოვეს საბჭოების დიად ქვეყანაში. ისინი გაიმარჯვებენ მთელს მსოფლიოში.

[1]) ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. გვ. 597 (იხ. ქართ. გამ. გვ. 703).
[2]) იქვე.

## საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

მიწსახკომის 5 მაისის ცნობებით.

| რაიონები | ხვნა ჰექტარობით | ხვნის გეგმის შესრულება პროც. | საგაზაფხულო კულტურების თესვა ჰექტ. | საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროც. | მათ შორის მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების თესვა ჰექტ. | მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროც. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალქალაქი | 2023 | 14,9 | 9625 | 30,5 | 9218 | 41,2 |
| ბოგდანოვკა | 912 | 10,8 | 1255 | 8,6 | 1237 | 10,8 |
| ახალციხე | 1080 | 50 | 3736 | 58,7 | 2819 | 61,3 |
| ადიგენი | 330 | 49,8 | 1154 | 81 | 985 | 84,2 |
| ასპინძა | 1730 | 90,7 | 2519 | 72,1 | 2265 | 88 |
| ხაშური | 7200 | 90,3 | 14793 | 69,9 | 11025 | 67,7 |
| გორი | 3761 | 60,4 | 7625 | 54,5 | 5962 | 57,6 |
| კასპი | 3842 | 83,2 | 5817 | 69,2 | 4200 | 69,9 |
| ბორჯომი | 1676 | 54,1 | 1580 | 39,2 | 1444 | 41,6 |
| გურჯაანი | 3138 | 108,5 | 7481 | 98 | 4889 | 97,1 |
| სიღნაღი | 5316 | 117 | 18672 | 100,4 | 8866 | 107,3 |
| თელავი | 7078 | 81,7 | 6847 | 58,8 | 6356 | 60 |
| ყვარელი | 1486 | 124,9 | 3068 | 91,6 | 2108 | 102,6 |
| ლაგოდეხი | 1568 | 102,6 | 5104 | 78,2 | 2600 | 100 |
| თბილისი | 5803 | 86 | 8426 | 78 | 6240 | 82 |
| ყარაია | 2028 | 101,3 | 3445 | 98,6 | 781 | 97,1 |
| ბორჩალო | 1932 | 108,6 | 2812 | 59,9 | 556 | 121,7 |
| ლუქსემბურგი | 1159 | 118 | 3918 | 96,7 | 2973 | 104,7 |
| წალკა | 2954 | 34 | 8569 | 52 | 8266 | 61,5 |
| დუშეთი | 2386 | 62,4 | 2376 | 45,4 | 2214 | 48,6 |
| ალბულაღი | 3930 | 96,3 | 6870 | 83,6 | 5167 | 88,8 |
| საგარეჯო | 4636 | 91,6 | 10298 | 87 | 7312 | 87,9 |
| ბაშკიჩეთი | 2764 | 84,2 | 3252 | 66,6 | 2469 | 70,3 |
| თიანეთი | 1522 | 43,5 | 2024 | 41,4 | 1934 | 44,3 |
| ყაზბეგი | — | — | — | — | — | — |
| სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 5728 | 48,9 | 8566 | 44,7 | 8338 | 47,2 |
| ქუთაისი | 10460 | 102,6 | 14834 | 73,5 | 12926 | 74,9 |
| სამტრედია | 6510 | 82,7 | 4216 | 41,7 | 3942 | 44,2 |
| წულუკიძე | 1948 | 101,1 | 6008 | 89,4 | 5695 | 94,4 |
| ვანი | 1665 | 102,3 | 4123 | 65 | 3215 | 68 |
| ბაღდათი | 3027 | 76,2 | 2641 | 54,1 | 2586 | 56,2 |
| ზესტაფონი | 4584 | 74,1 | 4737 | 62,5 | 4737 | 62,6 |
| ჩხარი | 2950 | 89,3 | 6806 | 89 | 6744 | 91,4 |
| ჭიათურა | 10345 | 71 | 9975 | 48 | 9922 | 48,8 |
| ორჯონიკიძე | 5094 | 56,1 | 5094 | 56,2 | 5085 | 58,3 |
| ტყიბული | 348 | 7,1 | 3928 | 72,5 | 3909 | 75,6 |
| ონი | 1899 | 58,8 | 1891 | 40,3 | 1888 | 44,3 |
| ამბროლაური | 5258 | 88,3 | 5286 | 75,1 | 5248 | 76,4 |
| ცაგერი | 3860 | 85,7 | 3580 | 84,8 | 3558 | 85,2 |
| ქვემო-სვანეთი | 49 | 114 | 49 | 114 | 49 | 122,5 |
| აბაშა | 3816 | 83,8 | 2968 | 21,8 | 2454 | 21 |
| ცხაკაია | 4799 | 56,2 | 3019 | 29,1 | 2786 | 30,3 |
| გეგეჭკორი | 5390 | 80,4 | 5888 | 60 | 5827 | 63 |
| ზუგდიდი | 5295 | 90,6 | 4828 | 54,6 | 4611 | 60,1 |
| ხობი | 5286 | 92,6 | 2020 | 30 | 2005 | 30,7 |
| წალენჯიხა | 1290 | 99,9 | 1846 | 83,5 | 1842 | 90,7 |
| ჩხოროწყუ | 3115 | 76,2 | 2748 | 68,8 | 2748 | 70,8 |
| მახარაძე | 4036 | 79,8 | 2041 | 36,2 | 2035 | 39,9 |
| ლანჩხუთი | 5012 | 67,7 | 3573 | 48,9 | 3529 | 56 |
| ჩოხატაური | 1297 | 30,5 | 1784 | 39,9 | 1732 | 44,4 |
| ფოთი | 252 | 78,8 | 95 | 29,7 | 89 | 31,8 |
| აფხაზეთის ასსრ | 32953 | 89,8 | 11259 | 25,4 | 9986 | 29,6 |
| აჭარის ასსრ | 3048 | 60,2 | 1601 | 29,9 | 1464 | 38,2 |
| სულ | 215048 | 71,9 | 266615 | 54,9 | 220386 | 57,1 |

○

ცნობები ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონებიდან 1 მაისისაა; როგორც მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, ხვნა-თესვის გეგმების შესრულებაში დიდი ჩამორჩენაა. ხვნა-თესვის აშკარა არადამაკმაყოფილებელ ტემპებს ისიც მოწმობს, რომ წელს 5 მაისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მოხნული იყო 134.957 ჰექტარით და დათესილი იყო 96.898 ჰექტარით ნაკლები, ვიდრე ამავე რიცხვისათვის შარშან.

ძალიან იგვიანებს თესვა დასავლეთ საქართველოშიც. 5 მაისისათვის თესვის გეგმა გარდა ქვემო-სვანეთისა დასავლეთ საქართველოს არცერთ რაიონს არ ჰქონდა შესრულებული.

საუკეთესო ამინდები ყოველგვარ შესაძლებლობას იძლევა, რომ ხვნა-თესვა დროულად დამთავრდეს და სამარცხვინო ჩამორჩენა სასწრაფოდ იქნას გამოსწორებული. ადგილობრივი ორგანიზაციების ვალია გადაჭრით გააუმჯობესონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და უზრუნველჰყონ თესვის გეგმების უახლოეს დღეებში მაღალხარისხოვნად შესრულება.

---

დღეს, 8 მაისს, 7 საათზე, შინსახკომის კლუბში (ბესიკის ქუჩა № 4) შესდგება

**კომკავშირის თბილისის აქტივის კრება კომკავშირული გაზეთების მკითხველთა და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან ერთად**

კრებაზე მოსმენილი და განხილული იქნება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორის ამხ. ალ. მერკვილავას და „მოლოდოი სტალინეცის" რედაქტორის ამხ. ა. ვოლფენზონის მოხსენებები.

მოწვეული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

**საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი**

# გერმანია-იტალიის მოლაპარაკება

**ლონდონი,** 6 მაისი (საკდესი). როგორც „დეილი მეილის" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, მუსოლინი ზრუნავს იმაზე, რომ იტალიის „საზღვაო და საჰაერო ძლიერებამ" ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს გერმანიის ფაშისტ მმართველზე. იტალიაში ჰიტლერის მიღების მთავარი მიზანი სწორედ ამაში მდგომარეობს. ხალხის მასები, — შენიშნავს კორესპონდენტი,— არავითარ ენტუზიაზმს არ განიცდიან ჰიტლერის ჩამოსვლის გამო, მაგრამ, — ირონიულად შენიშნავს იგი, — ხალხის სულიერ განწყობილებას პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს და ანგარიშს არ უწევენ. იტალიური პრესა აშკარად აღნიშნავს, რომ იტალიისა და გერმანიის არმიები გამოყენებულ უნდა იქნან რომ - ბერლინის ღერძის გასაძლიერებლად. ამგვარად, — დაასკვნის კორესპონდენტი, — ლაპარაკია იმაზე, რომ ორივე ქვეყნის სამხედრო კავშირი გაფორმებულ იქნას სპეციალური ხელშეკრულებით.

**პარიზი,** 6 მაისი (საკდესი). არც პრესას, არც პარიზის პოლიტიკურ წრეებს, რომლებიც ჩვეულებრივ საქმის კურსში არიან, ჯერ კიდევ არ მოეპოვებათ ზუსტი ცნობები მუსოლინისა და ჰიტლერის მოლაპარაკების ხასიათსა და შინაარსზე. ფაშისტურ პარადებს, გუშინდელ საზღვაო მანევრებს ნეაპოლში, რაც მუსოლინიმ გერმანელი სტუმრის პატივსაცემად მოაწყო, ბევრი აფასებს, როგორც მუსოლინის მისწრაფებას „ასწიოს ფასი" იტალიისა, როგორც რომ-ბერლინის ღერძის პარტნიორისა,

რომიდან მიღებულ ცნობებში სერიოზული ყურადღება ექცევა გერმანიისა და იტალიის გენერალური შტაბების თათბირებს. „ევრის" სიტყვით, რომის დიპლომატიურმა წრეებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ იტალიისა და გერმანიის გენერალური შტაბების თათბირებმა ძალიან ღრმად შესტოპეს და რომ ამ თათბირების დროს განხილული იყო მოქმედებათა ზუსტი გეგმები იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანიის შეტევა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ინგლისისა და საფრანგეთის ჩარევას გამოიწვევდა.

საფრანგეთის პოლიტიკური წრეების ყურადღებას იპყრობს გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა წარდგინებით მიმართოს გერმანიის მთავრობას ჩეხოსლოვაკიის საკითხზე ისე, რომ არ დაუცადოს ჰიტლერის დაბრუნებას ბერლინში. „ევრი", „ლუმანიტე" და მთელი რიგი სხვა გაზეთები ინგლისის მოქმედების გეგმის ამ შეცვლაში ხედავენ იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ გამწვავდა ის საფრთხე, რაც ჩეხოსლოვაკიას თავს დასტრიალებს.

როგორც „ევრი" სწერს, „რომის დიპლომატიურ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის მთავრობის მიერ თავისი ბერლინელი ელჩის ჰენდერსონისათვის მიცემულმა ინსტრუქციებმა, რომ მან წარდგინებით მიმართოს ჰერინგს. ამავე დროს ინგლისის ელჩს პრაღაში ნიუტონს მიეცა მითითებანი მიმართოს ჩეხოსლოვაკიის მთავრობას, რათა მიაღწიოს შესაძლო დათმობებს უმცირესობათა სტატუტის საკითხში".

პერი „ლუმანიტეში" სწერს: „ინგლისის მთავრობის აჩქარება მოწმობს, რომ ცენტრალურ ევროპაში უფრო საშიში მდგომარეობა შეიქნა".

# საომარი მოქმედება ჩინეთში

## ცენტრალურ ჩინეთში

**ხანკოუ,** 6 მაისი (საკდესი). საომარი ოპერაციები ცენტრალურ ჩინეთში უფროდაუფრო ფართოვდება. ჩინეთის ჯარები განაგრძობენ შეუპოვარ შეტევას ნანკინ-სანჯოუს რაიონში. დანტუს (ნანკინის სამხრეთით) აღების შემდეგ პარტიზანთა რაზმები იაპონიის ჯარების პოზიციებს უტევენ ნანკინის ახლო. 4 მაისს ჩინეთის პარტიზანებმა დაიკავეს ძიანინჯენი, რომელიც ნანკინიდან 11 კილომეტრით არის დაშორებული. ფუიუანის რაიონში ჩინეთის ჯარები ინტენსიურ შეტევას განაგრძობენ. იაპონელები დიდ დანაკლისს განიცდიან.

ანხუეის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარებმა ჯერ კიდევ 30 აპრილს დაიკავეს ქალაქი რაიანი (ნანკინის ჩრდილო-დასავლეთით).

**შანხაი,** 5 მაისი (საკდესი). ხანჯოუს სამხრეთ-დასავლეთით შეუპოვარი ბრძოლა გრძელდება. წარმატებითი ოპერაციების შედეგად ჩინეთის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი იუიხანი. იაპონელებმა იმ მიზნით, რომ შეეკავებინათ ჩინეთის ჯარის წინსვლა ხანჯოუსაკენ, ქალაქის მახლობლად მდებარე ყველა სოფელი გადასწვეს.

პარტიზანების აქტივობა შანხაის რაიონში არ სწყდება. 3 მაისს 300 კაცისაგან შემდგარი პარტიზანთა რაზმი ღამით თავს დაესხა დაძანში მყოფ იაპონელთა ნაწილს (შანხაიდან 10 კილომეტრზე). ბრძოლის შედეგად მოკლულია მრავალი იაპონელი ჯარისკაცი. უხუს რაიონში ბრძოლა არ სწყდება. როგორც გაზეთი „ვენვეიბაო" იუწყება, იაპონელები ფრონტის ამ უბანზე ცრემლსადენ აირს იყენებენ. მიუხედავად ამისა, ჩინეთის ჯარებს კვლავ იერიშები მიაქვთ იაპონელების მიერ დაჭერილ მთელ რიგ პუნქტებზე.

## ჩრდილოეთ ჩინეთში.

**ხანკოუ,** 6 მაისი (საკდესი). მას შემდეგ, რაც მოწინავე პოზიციებზე ახალი დამხმარე ძალები ჩავიდნენ, იაპონელებმა განაახლეს იერიში ტაიერჯუანის ჩრდილოეთით. ამავე დროს იაპონელები თავს უყრიან ძალებს ტანჯენის რაიონში.

**ლონდონი,** 5 მაისი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის" შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის ჯარებმა ტაიერჯუანის სექტორში წინ წაიწიეს 8 კილომეტრით და რომ ჩინელთა „მოძრავმა კოლონამ", რომელიც გარს შემოერტყა იაპონელთა მარჯვენა ფლანგს, გასწყვიტა იაპონელთა კომუნიკაციები იჯოუსა და ტანჩენს შორის. გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ჰონკონგელი კორესპონდენტი სწერს, რომ შანდუნის ფრონტზე ჩინელებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. კორესპონდენტის სიტყვით, ჩინეთის ჯარებმა რამდენიმე პუნქტში გაარღვიეს იაპონელთა ფრონტის ხაზი 22 კილომეტრზე მეტ სიღრმეზე და განაგრძობენ შეტევას ფრონტის 160-კილომეტრიან უბანზე. იაპონიის არმია, რომელსაც ჩინელები დაედევნენ, უკან იხევს. შანსის პროვინციის სამხრეთით 4 მაისს 8 საათის ბრძოლის შემდეგ ჩინეთის ჯარებმა უკან დაახევინეს იაპონელებს ქალაქ გაოპინიდან. ბრძოლაში იაპონელებმა 600 კაცი დაჰკარგეს.

უკანასკნელი ცნობებით, ჩინელ პარტიზანთა რაზმებმა ბაოდინის სამხრეთით წარმატებით ჩაატარეს მთელი რიგი ოპერაციები. პარტიზანებმა იერიში მიიტანეს რკინიგზის რამდენიმე სადგურზე, სადგურ სივანის მახლობლად ხრამში გადააგდეს სამხედრო მატარებელი, რომელსაც იაპონელი ჯარისკაცები მიჰყავდა.

# იაპონიის ავიაციის დანაკლისი

**ხანკოუ,** 6 მაისი (საკდესი). სამხედრო მეთვალყურეთა გამოანგარიშებით, იაპონიის ავიაციამ ჩინეთში აპრილის განმავლობაში 75 თვითმფრინავი დაჰკარგა, მათ შორის 36 ჰიდროთვითმფრინავი. მოკლულია 95 იაპონელი მფრინავი. რამდენიმე მფრინავი ჩინელებმა ტყვედ წაიყვანეს.

# იაპონელთა მხეცობა ჩინეთში

**ჟენევა,** 6 მაისი (საკდესი). ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა ერთა ლიგასთან ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა ნოტა ჩინეთში იაპონელთა მხეცობის გამო. ნოტაში მოყვანილია იაპონელთა მიერ 1937 წლის 28 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 29 აპრილამდე ჩადენილი ბარბაროსობის 33 შემთხვევა. ნოტაში, სხვათა შორის, ლაპარაკია ჩინეთის სოფლების მასობრივ ბომბარდირებაზე და იაპონელთა თვითმფრინავებიდან ტყვიამფრქვევებით მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტაზე, იაპონიის ჯარების მიერ ასობით სოფლების დაწვაზე და გლეხთა მასობრივ დახვრეტაზე.

ისეთი დიდი ქალაქების ბომბარდირების დროს, როგორიცაა ნანკინი, ჩანშა, კანტონი და სხვ. იაპონიის ავიაცია სპობდა საავადმყოფოებს, უნივერსიტეტებს, ბიბლიოთეკებს, სკოლებს; იაპონიის ჯარების მიერ ნანკინისა და ხანჯოუს დაკავების დროს მათ მასობრივად ამოხოცეს მშვიდობიანი მოსახლეობა, გააუპატიურეს ქალები და სხვ. და, ბოლოს, ნოტაში ნათქვამია, რომ იაპონელებმა დაანგრიეს ერთა ლიგის იმ სანიტარული რაზმის მიერ შექმნილი საავადმყოფო, რომელიც გაგზავნილია ჩინეთში ეპიდემიების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩინეთის დელეგაციის მეთაური ერთა ლიგასთან შუამდგომლობს, რომ ნოტის შინაარსი ეცნობოს ერთა ლიგის პლენუმისა და საბჭოს წევრებს, აგრეთვე იაპონია-ჩინეთის კონფლიქტის განსახილველად შექმნილი „23-ის კომიტეტის" წევრებს.

# უცხოეთის დელეგაცია ბარსელონაში

**ბარსელონა** 5 მაისი (საკდესი). ბარსელონაში საპირველმაისო დღესასწაულისათვის ჩამოსულმა უცხოეთის დელეგაციამ ინახულა აღმოსავლეთის ფრონტი რესპუბლიკური მთავრობის წარმომადგენლების, შრომის ნაციონალური კონფედერაციის გენერალური მდივნისა და საყოველთაო მუშათა კავშირის აღმასკომის წევრის თანხლებით. უცხოეთის დელეგაციის წევრებმა დაადასტურეს რესპუბლიკური არმიის მებრძოლთა მაღალი მორალური განწყობილება.

# ესპანეთის ფრონტებზე

## აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 5 მაისის ოფიციალური ცნობის თანახმად, პირენეის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს პლადენეკუა, პიუგ ზასიბროსი და ბესანი (აიმე დე ბესანის ჩრდილოეთით). მეამბოხეთა ძალები, რომლებიც ცდილობდნენ გაელაშქრებინათ რესპუბლიკელთა პოზიციებზე ასენტისუსთან, გაფანტულ იქნენ და იძულებული გახდნენ დაეხიათ პირვანდელ პოზიციებზე, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ.

სანაპირო სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა უკუაგდეს მეამბოხეთა რამდენიმე გააფთრებული იერიში კუევას დე ვინგრომის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე პოზიციებზე. რესპუბლიკელები აკავებენ მეამბოხეთა იერიშს ბერტისე კაბალიოს რაიონში.

გააფთრებული ბრძოლა ხდება სიერა პობოში, ალფამბრის სექტორში (მონტალბანის სამხრეთით). ამ სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებს უკავიათ პოზიციები, რომლებიც დაჰყურებენ ვერტისე კალსტელფრიოს. ბრძოლების დროს მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

# ავიაციის მოქმედება

გუშინ ფაშისტების ავიაციამ ორჯერ დაუშინა ყუმბარები კასტელიონ დე ლა პლანას და ჩამოჰყარა 450-ზე მეტი ყუმბარა. დანგრეულია დაახლოებით 100 სახლი.

ესპანის მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ფაშისტთა ავიაციამ გუშინ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე ვალენსიას. ჩამოჰყარეს დიდძალი ყუმბარა. არის ადამიანთა მსხვერპლი.

# ამხ. მაისკის შეხვედრა ჰალიფაქსთან

**ლონდონი,** 6 მაისი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ინგლისში ამხ. მაისკიმ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალიფაქსი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

# თურქეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმების დამტკიცება

**ანკარა,** 6 მაისი (საკდესი). ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს გადმოცემით, კამუტაიმ (თურქეთის ნაციონალური კრება) 6 მაისს მეორედ წაკითხვის დროს ერთხმად მოიწონა თურქეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმება.

ამ საკითხის განხილვას დაესწრო სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ტერენტიევი.

# წურბლით მკურნალობა

მედიცინაში წურბელის გამოყენებას დიდიხნის ისტორია აქვს.

ძველი საბერძნეთისა და რომის მედიცინის წარმომადგენლები ასკლეპიადი, გალენი და სხვ. არამც თუ იცნობდნენ წურბელას, როგორც სამკურნალო საშუალებას, არამედ იმასაც აღნიშნავდნენ, თუ რა დაავადების დროს უნდა იყოს გამოყენებული. წურბელის გამოყენებამ უმაღლეს წერტილს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მიაღწია. როგორც ლიტერატურული წყაროებიდან სჩანს, 1840 წელს მარტო საფრანგეთი ასაღებდა ყოველწლიურად 130 მილიონ წურბელას, რის გამო მას უაღრესად კომერციული ხასიათი მიეცა. თავისი მაღალი ღირსებით ცნობილი წურბელა საქართველოსი ყოველწლიურად ათი მილიონი გაჰყავდათ. წურბელა მეტად ფართო მოთხოვნილების საგნად იქცა. ის იხმარებოდა თითქმის ყოველგვარი დაავადების დროს: თავის ტკივილის, მაღალი ტემპერატურის და მის ნიადაგზე ბოდვის დროს, სისხლის წნევის მომატების დროს, თვალის ანთებისა და სხვადასხვა დაავადებათა შემთხვევებში. ერთი სიტყვით, არ იყო დაავადება, რომლის დროსაც წურბელას არ მიმართავდნენ. ამან კი ძალზე გაზარდა მოთხოვნილება წურბელაზე და გაადიდა მისი ფასიც (რუსეთის სხვადასხვა კუთხეში წურბელის ფასი 5 კაპეიკიდან 75 კაპეიკამდე აღწევდა).

1884 წლიდან იწყება წურბელის მეცნიერული შესწავლა. ამ წელს გეიკრაფმა დაამტკიცა, რომ წურბელის თავიდან მიღებულ ექსტრატში არის რაღაც ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის სისხლის შედედებას. 1902 წ. კი წურბელის თავიდან მიიღეს პრეპარატი, რომელსაც დაერქვა „ჰირუდინი". ჰირუდინის ქიმიური შემადგენლობა მეცნიერებამ დღემდე არ იცის.

წურბელის მეცნიერულმა შესწავლამ დაგვიმტკიცა მისი დიდი სამკურნალო ღირებულება ზოგიერთი დაავადების დროს. განსაკუთრებით დაუფასებელია წურბელა ტრომბოფლებიტების დროს.

ტრომბოფლებიტი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ვენური სისხლის ძარღვის ანთებას და მისი სანათურის ნაწილობრივ ან სავსებით დახშობას. ეს ავადმყოფობა განსაკუთრებით ვითარდება ქვემო კიდურებზე ტიფის, მშობიარობის, აბორტის, ოპერაციებისა და მრავალი სხვა მიზეზის გამო.

მწვავე ტრომბოთლებიტების შედეგად ავადმყოფს უვითარდება მაღალი ტემპერატურა და ძლიერი ტკივილები. დაავადებული კიდურები კი მსხვილდება შეშუპების გამო. ავადმყოფი ვარდება ლოგინად 1-2 თვით, რის შემდეგ ეს დაავადება ქრონიკულ ხასიათს იღებს და ხშირად 10-20 წელს გრძელდება. დაავადების მთელ პერიოდში ავადმყოფები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ (ტალახის აბაზანები, წყალტუბო, მაცესტა და სხვათასხვა), დიდძალ თანხასაც ხარჯავენ, მაგრამ სავსებით იშვიათად იკურნებიან. მეცნიერება დიდიხანია ეძებდა ისეთ საშუალებას, რომელიც მოკლე ხანში და სავსებით განკურნავდა დიდიხნის ტანჯულ ტრომბოფლებიტიან ავადმყოფებს. დღეს ეს საშუალება უკვე აღმოჩენილია. ეს გახლავთ წურბელა, რომლითაც საქართველო ძალიან მდიდარია.

როგორ ხდება წურბელით მკურნალობა? უპირველეს ყოვლისა შერჩეულ უნდა იქნას საღი სამკურნალო წურბელა (არა ნაკლებ 4-5 წლისა), შემდეგ დაავადებული კიდური იპარსება სამართებლით მშრალად, სუფთავდება თბილი წყლით (რაიმე ანტისეპტიკური ხსნარის ხმარება არ შეიძლება, წურბელა არ მოეკიდება) და დაავადებული სისხლის ძარღვის მიმართულებით დაისმება წურბელა. ერთ სეანსში შეიძლება დასმულ იქნას 2-დან 20-მდე. ეს დამოკიდებულია ავადმყოფის საერთო მდგომარეობაზე და დაავადების ხასიათზე. როდესაც წურბელა სისხლით გაძღება, ის თითონ ჩამოვარდება. ძალით მოხსნა არ არის მიზანშეწონილი. ავადმყოფს წურბელები განმეორებით შეიძლება დაესვას 3-4 დღის შემდეგ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. რა შედეგს იძლევა წურბელა ტრომბოფლებიტების დროს? წურბელის სახით ჩვენ გვაქვს მძლავრი სამკურნალო საშუალება. ეს დასტურდება როგორც ჩვენი საკუთარი დაკვირვებებით, ისე ლიტერატურული მონაცემებითაც. თუ ჩვენი ავადმყოფები ქრონიკული ხასიათის ტრომბოფლებიტებს წლობით მკურნალობდნენ, დღეს საკმარისია 1-2 სეანსი წურბელებით მკურნალობისა, რომ ავადმყოფმა შვება იგრძნოს.

იყო შემთხვევები, როდესაც ავადმყოფი 10-20 წელს მკურნალობდა, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო. ეს ავადმყოფი წურბელებით მკურნალობის შემდეგ სავსებით განიკურნა.

წურბელის ასეთი სამკურნალო თვისებების გამო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს და მოაგვაროს ორგანიზებული მკურნალობა წურბელით.

**ექ. კ. დიხამინჯია.**

# ინტერესი შ. რუსთაველისადმი

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა გასულ წელს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის დაწერის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით ლენინგრადის ზღვისპირის რაიონის მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლეებისა, პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციისაგან მიიღო მომართვა.

მომართვაში აღნიშნული სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ინსტიტუტის დირექციას სთხოვდნენ, რომ ინსტიტუტს მათთვის გაეგზავნა შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის დამახასიათებელი მასალები და „ვეფხის-ტყაოსნის" გამოცემანი მათ სკოლაში შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენის მოსაწყობად.

მარის სახელობის ინსტიტუტის დირექციამ დააკმაყოფილა ლენინგრადელ მოსწავლეთა თხოვნა, გაუგზავნა „ვეფხისტყაოსნის" ყველა გამოცემანი და შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების ასლების 300-მდე ფოტო-სურათი და მრავალი სხვა მასალები, რომლებშიაც ასახულია რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა და იმ დროის ლიტერატურული ძეგლები.

ამ დღეებში ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის დირექციამ ლენინგრადელი მოსწავლეებისაგან მიიღო ღია ბარათი, რომელშიაც ისინი იწერებიან, რომ მიიღეს ყველა მასალები და უკვე მოაწყეს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა. ამავე დროს მოსწავლეები ბარათში დიდ აღტაცებას გამოსთქვამენ და მადლობას უძღვნიან ინსტიტუტის დირექციას მათთვის ასეთი დახმარების აღმოჩენისათვის.



კურორტი აბასთუმანი

ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტო")

# საქ. სახკინმრეწვში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით საქ. სახკინმრეწვის კინოსტუდიის ქრონიკა აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას.

არჩევნების დღისათვის ქრონიკა უშვებს ორ კინოჟურნალს და მოკლემეტრაჟიან ქრონიკალურ ფილმებს, რომლებშიაც ნაჩვენები იქნება წარმოება-დაწესებულებებში წინასაარჩევნო კრებები, მასობრივი დემონსტრაციები და წამოყენებული დეპუტატები. კინო-აფსკზე გადატანილი იქნება აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მსვლელობა და სხვ.

გარდა ამისა, არჩევნების დღისათვის ქრონიკა გამოუშვებს სრულმეტრაჟიან დოკუმენტალურ საიუბილეო ფილმს „შოთა რუსთაველი" (ავტორი-რეჟისორი შ. ჩაგუნავა), სპეციალურ ჟურნალს საქართველოს სუბტროპიკების შესახებ და ორ კინოჟურნალს „საბჭოთა საქართველოს", მიძღვნილს საკოლმეურნეო მინდვრებზე საგაზაფხულო თესვის კამპანიის მიმდინარეობისადმი.

ამავე დღეებისათვის ქრონიკა გამოუშვებს აგრეთვე კინო-ნარკვევს „გზა შრომისაკენ" (ავტორი-ოპერატორი მ. ნარიმანიშვილი). ნარკვევი მოგვითხრობს ზემოავჭალის შრომის კოლონიაში მოთავსებულ ყოფილ უპატრონო ბავშვთა ცხოვრების შესახებ, თუ ბედნიერ საბჭოთა ქვეყანაში პატიოსანი შრომით როგორ მიაღწიეს მათ სამურ ცხოვრებას.

# სამედიცინო ბრიგადები სოფლად

საგაზაფხულო თესვის სამუშაოთა წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებით კოლმეურნეთათვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებამ ამას წინათ სოფლად მიავლინა 20 სამედიცინო ბრიგადა.

ბრიგადები უზრუნველყოფილი არიან კარგი სპეციალისტებით და მედიკამენტებით. ბრიგადები უფასო სამედიცინო მომსახურებას გაუწევენ რაიონის ყველა სოფლის კოლმეურნეობებს და დაჰყოფენ იქ 10 დღეს. ბრიგადებში შედიან: ქირურგები, თერაპევტები, გინეკოლოგები, ბავშვთა ექიმები, კბილის ექიმები და სხვ.

თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სააფთიაქო სამმართველომ ყველა აფთიაქები უზრუნველჰყო აკრიხინით. ავადმყოფები რეცეპტებით აკრიხინს მიიღებენ უფასოდ.

# სამშობიარო სახლები, საბავშვო ბაგები, საავადმყოფო

**ბორჯომი,** (საკ. კორ.). მიმდინარე წელს ბორჯომის რაიონში ფართოდ გაიშალა სამშობიარო სახლების მშენებლობა. ახალი სამშობიარო სახლები გაიხსნა ბორჯომსა, ბაკურიანსა და წაღვერში, რაზედაც 102.000 მანეთი დაიხარჯა.

ამჟამად ბორჯომში მიმდინარეობს 36-საწოლიანი საბავშვო ბაგის მშენებლობა, რისთვისაც გადადებულია 150.000 მანეთი.

მიმდინარე წლის საკურორტო სეზონისათვის წაღვერში იხსნება 10-საწოლიანი საავადმყოფო, რაზედაც დაიხარჯება 30.000 მანეთი.

ბორჯომის საავადმყოფოში დაიდგმება სადეზინფექციო კამერა, რომელიც მთელ რაიონს გაუწევს მომსახურებას. მასზე დაიხარჯება 50.000 მანეთი.

**გრ. ლომიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**


**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 8/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 185 ერთდრ. ბილ. სერია № 3 **სევილიელი დალაქი** |
| 9/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 186 **კარმენ** |
| 10/V | მუდმ. ადგ. ტალ. № 187 ერთდრ. ბილეთის სერია № 4 ბალეტი **მალთაყვა** |

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

**მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**

| | |
|---|---|
| 8/V წარმ. № 167 | **მ ე რ ი** |
| 9/V წარმ. № 168 | **ნინოშვილის გურია** |

**ხელისმომწერთა საყურადღებოდ გამოვიდა და დაეგზავნა ხელისმომწერლებს ჟურნალი „ბოლშევიკი" № 3**

**რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 8/V | წარმოდგენა 165 **სულელი** |
| 9/V | წარმოდგენა 166 **სულელი** |
| 10/V | წარმოდგენა 167 **შემოდგომის აზნაურები** |

დასაწყ. 8 საათზე.

**საქფილეგთი ა/ნ. 1 ივნისს ხსნის საზაფხულო სეზონს და ბაღში მართავს შემდეგ კიოსკებს:**

**ნაყინის, მინერალური და ხილის წყლების, ხილის, პარფიუმერიის და საკონდიტრო ნაწარმისას.**

დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიანთ თავიანთი წინადადებანი წარმოადგინონ შემდეგი მისამართით: პლეხანოვის პროსპ. 123, საქფილეგთი.

17791 **დ ი რ ე ქ ც ი ა.**

**არტელი „წითელი მზიდავი"**

ბნელის რიგი № 3

**ა უ წ ყ ე ბ ს**

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზით არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ არტელის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომლებიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს.

1553

**სახცირკი.** ტელ. 3-11-44

დღეს, 8 მაისს

**საცირკო წარმოდგენა** მრავალფეროვანი პროგრამით, აგრეთვე ფრანგული

**ჭიდაობის** მატჩები

ჭიდაობს 3 წყვილი

1-ლი—**ბოროვსკი — ბოგატირიოვი** გადამწყვეტი შეხვედრა

მე-2—**კენედი—ბოროვი**

მე-3—**კოქემიაკა — ალტონი**

დასაწყ. წარმოდგენისა 8 ს. 30 წ., ჭიდაობისა - 10 ს. 30 წ.

სალარო 12 ს-დან 2 ს-მდე და 5 საათიდან.

12 მაისს უკანასკნელი წარმოდგენა დღისით, დასაწყ. 12 ს.

12 მაისს სეზონის დახურვა

**დღეს სახკინმრეწვის თეატრებში**

| | |
|---|---|
| ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135 | ხმოვანი მხატვრული კომედია **დაკარგული სამოთხე** (რუსულ ენაზე) დადგმა რეჟისორ დ. რონდელისა დასაწყ. 6-30 |
| კომკავშირელი პლეხანოვის პროსპ., 91 | |
| არსენა კომუნალური ქ., № 9 | |
| დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125 | ხმოვანი ფილმი **პ ე ტ ე რ ი** დასაწყ. 6-30 |
| რ. ლუქსემბურგის სახ. ჯოროჯიაშვილის, 8 | ხმოვანი ფილმი **კ ა ტ ე რ ი ნ ა** დასაწყ. 6-30 |
| სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23 | ხმოვ. მხატვრ. ფილმი **საზღვარს კლიტე ადევს** დასაწყ. 6-30 |
| 26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი | ხმოვანი ფილმი **საუნჯეთა კუნძული** დასაწყ. 6-30 |
| ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125 | **1-ლი მაისი თბილისში** |
| კომინტერნი (საზაფხულო) | ხმოვანი ფილმი **ნარინჯის ველი** დასაწყ. 8-30 |

**სახელ. უნივერსიტეტი**

მარის ქუჩა № 1

**ა უ წ ყ ე ბ ს**

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ სახუნტის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3525 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს.

1115

**საქ. სს რესპუბლიკის შ. ს. ს. კომისარიატის მ/გ მილიციის სამმართველო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 15 თებერვლის № 170 დადგენილების საფუძველზე აცხადებს:**

1. ყველა სამოქალაქო დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს და სასწავლებლის ხელმძღვანელნი, აგრეთვე ცალკეული მოქალაქენი ვალდებული არიან ერთი თვის განმავლობაში გაატარონ რეგისტრაციაში მათთან ქონებული მცირეყალიბიანი თოფები საქ. შ. ს. ს. კომისარიატის მ/გ მილიციის სამმართველოში, ექიმის ქუჩა, № 3.

2. საწარმო - დაწესებულებების, ორგანიზაციების და სასწავლებლების ხელმძღვანელნი, აგრეთვე ცალკეული მოქალაქენი, რომლებიც თავს აარიდებენ მცირეყალიბიანი თოფების რეგისტრაციაში გატარებას, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში საქ. სისხ. სამ. კოდექსის 202 მუხლის თანახმად.

**შენიშვნა:** საქ. სსრ ტერიტორიაზე ქალ. თბილისის ფარგლებს გარეთ არსებული საწარმო-დაწესებულებები, ორგანიზაციები, სასწავლებლები, აგრეთვე ცალკეული მოქალაქენი მცირეყალიბიან თოფებს რეგისტრაციაში ატარებენ მ/გ მილიციის ადგილობრივ განყოფილებებში, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქ. შ. ს. ს. კომისრის თანაშემწე მილიციის დარგში, მ/გ მილიციის სამმართ. უფროსი, სახ. უშიშროების მაიორი **წერეთელი.**

100

**სამტრესტის № 2 ღვინის ქარხანა**

გოგოლის ქ. № 63

**ა უ წ ყ ე ბ ს**

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და არ მიუღია სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ სამტრესტის ღვინის მეორე ქარხნის ბუხჰალტერიაში ობლიგაციების მისაღებად. 1939 წლის 20 მაისამდე მიუღებელი ობლიგაციები ჩაბარდება ლენრაიონის შემნახველ სალაროს № 3525.

17793



მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: საამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—245